პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 114 (18356) შაბათი, 15 მაისი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

14 მაისს მუშაობა დაიწყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმმა.

პლენუმი იხილავს საკითხს: „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები რესპუბლიკაში მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და სახალხო მეურნეობის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ღონისძიებათა კონცენტრაციის საქმეში".

პლენუმი განიხილავს აგრეთვე სსრ კავშირის პროფკავშირთა XVII ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის მიხედვით რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებათა გეგმას, ინფორმაციას სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავის დღესასწაულისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობენ სსრ კავშირის კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის მინისტრი ე. კ. პერვიშინი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი ვ. ა. კოტელნიკოვი, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. კ. რომანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე ი. მ. მაკაროვი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ვ. ს. შეველუხა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ვ. პ. ვაშჩენკო.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მოხსენება ძირითად საკითხზე, რომელიც პლენუმს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ წარუდგინა, აგრეთვე სხვა მასალები წინასწარ განიხილეს პლენუმის მონაწილეებმა.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ე. კ. ხარაძე, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ადლეიბა, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ი. გ. გვერდწითელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. მ. ოკუჯავა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი გ. დ. მგელაძე, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ვ. ა. კოტელნიკოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატი ტ. ვ. როსტიაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოტოსინთეზის საპრობლემო ლაბორატორიის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. ა. სანაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დ. ი. ჩხიკვიშვილი, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის მინისტრი ე. კ. პერვიშინი, საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, მცირე სიმძლავრის ელექტრომანქანების ტექნოლოგიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი გ. ვ. მინდელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გ. ი. კვესიტაძე, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. კ. რომანოვი, საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ზ. მირიანაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მ. მ. ხანანაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე დ. ლ. ქართველიშვილი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი თ. ნ. ლოლაძე, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ი. მ. მაკაროვი, საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი ო. მ. ბოკერია, სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის რექტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ს. ნ. ხეჩინაშვილი, სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს" გენერალური დირექტორი ზ. ე. ურუშაძე, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ვ. ს. შეველუხა, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის რექტორი ს. გ. ქადაგიძე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ი. მეტრეველი, საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი ა. ვ. კობაიძე.

დღეს, 15 მაისს, პლენუმი მუშაობას განაგრძობს. (საქინფორმი).

საკდესის ცნობა

არის შეპირაპირება!

ორბიტაზეა „სალუტ-7"-„სოიუზ ტ-5"

პილოტირებული კომპლექსი

1982 წლის 14 მაისს მოსკოვის დროით 15 საათსა და 36 წუთზე ერთმანეთს შეუპირაპირდნენ „სოიუზ ტ-5" კოსმოსური ხომალდი და „სალუტ-7" ორბიტული სადგური, სადგურში ამხანაგების ა. ნ. ბერეზოვოისა და ვ. ვ. ლებედევის გადასვლის შემდეგ დედამიწისრგვლივ ორბიტაზე ფუნქციონირება დაიწყო „სალუტ-7"-„სოიუზ ტ-5" პილოტირებულმა სამეცნიერო-საკვლევმა კომპლექსმა.

„სალუტ-7" სადგური მეორე თაობის ორბიტული სამეცნიერო სადგურების სრულყოფილი ვარიანტია, რომელიც აღჭურვილია ორი შესაპირაპირებელი კვანძით და აქვს გაუმჯობესებული საექსპლოატაციო მახასიათებლები. „სოიუზ ტ-5" ხომალდის შეპირაპირება მოხდა სადგურის გადასასვლელი ნაკვეთურის მხრიდან.

კომპლექსის ეკიპაჟი შეუდგა სადგურის განკონსერვებას და ფრენის პროგრამის შესრულებას, რომელიც ითვალისწინებს:

— გამოიკვლიონ დედამიწის ზედაპირი და მისი ატმოსფერო სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ინტერესებისათვის;

— მოაწყონ ასტროფიზიკური, სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევა, ტექნოლოგიური და ტექნიკური ექსპერიმენტები;

— გამოსცადონ და დახვეწონ ორბიტული სადგურების გაუმჯობესებული სისტემები და აპარატურა.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით „სალუტ-7"-„სოიუზ ტ-5" კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად ფუნქციონირებენ. კოსმონავტები ბერეზოვოი და ლებედევი თავს კარგად გრძნობენ.

ამჟამად დედამიწისრგვლივ კოსმოსურ სივრცეში დაფრინავს ორი საბჭოთა ორბიტული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსი: პილოტირებული რეჟიმით მომუშავე „სალუტ-7"-„სოიუზ ტ-5" კომპლექსი და უპილოტო რეჟიმით მომუშავე „სალუტ-6"-„კოსმოს-1267" კომპლექსი.

„სალუტ-6" სადგური უკვე ოთხწელიწადნახევარზე მეტია დაფრინავს კოსმოსში. გრძელდება „სალუტ-6"-„კოსმოს-1267" კომპლექსის მოწყობილობისა და აპარატურის გამოცდა დედამიწისრგვლივ ორბიტაზე ხანგრძლივი ყოფნის პირობებში. როგორც ვიუწყებოდით, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1267" განკუთვნილია პერსპექტიული კოსმოსური აპარატების კონსტრუქციების შემდგომი დახვეწისათვის.

„სალუტ-7"-„სოიუზ ტ-5" პილოტირებული სამეცნიერო-საკვლევი კომპლექსის მუშაობის წარმატებული დაწყება დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია კოსმოსური სივრცის შემდგომი კვლევისა და მშვიდობიანი მიზნით ათვისებისათვის მუდმივმოქმედი ორბიტული სადგურების შექმნის გზაზე.

საბჭოთა კოსმონავტიკის ახალი მიღწევა შესანიშნავი საჩუქარია სამშობლოსათვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შექმნის მე-60 წლისთავის წელს.

გულის კარნახით

ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის სკოლების იმ კურსდამთავრებულთა საზეიმო კრების მონაწილეებს, რომლებმაც პროფტექნიკურ სასწავლებლებში სწავლის სურვილი განაცხადეს

ძვირფასო მეგობრებო!

მხურვალედ და გულითადად მოგესალმებით თქვენ, ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის სკოლების კურსდამთავრებულებს, რომლებმაც გადაწყვიტეთ განაგრძოთ სწავლა პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებში, დაეუფლოთ პროფესიას და შეავსოთ გმირული მუშათა კლასის რიგები.

სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავის წელს, კომკავშირის XIX ყრილობის წინ თქვენ შეიკრიბეთ სმოლნის ისტორიულ სააქტო დარბაზში, სადაც გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება, საიდანაც მთელ მსოფლიოში გაისმა მუშურ-გლეხური მთავრობის პირველი დეკრეტები. საბჭოთა ადამიანები ღრმად პატივს ცემენ ყოველივე იმას, რაც ვ. ი. ლენინის სახელთან და საქმესთან არის დაკავშირებული. თქვენი სურვილი გახდეთ კვალიფიციური მუშები, განაგრძოთ პიტერის პროლეტარიატის სახელოვანი ტრადიციები პრაქტიკული ხორცშესხმაა ვ. ი. ლენინის აზრისა, რომ სწორედ ახალგაზრდობამ უნდა გადაწყვიტოს კომუნისტური საზოგადოების შექმნის ამოცანა. პროფტექნიკური განათლების სასწავლებლებში თქვენ მიაღწევთ პროფესიული მომზადების მაღალ დონეს, დაეუფლებით ღრმა პოლიტიკურ, ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნას, რომელიც შეესაბამება მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური პროგრესის თანამედროვე მოთხოვნებს.

კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო, რომ გმირი ქალაქის ლენინგრადისა და ოლქის პროფტექნიკური განათლების სისტემა ჩვენს ქვეყანაში პირველი მთლიანად გადავიდა საშუალო განათლების მუშების მომზადებაზე, ხოლო გასულ ათწლეულში განსაკუთრებული წარმატებით ვითარდებოდა, სახალხო მეურნეობისათვის მოამზადა ნახევარ მილიონზე მეტი კვალიფიციური მუშა. მთელ ქვეყანაში დაუპირეს მხარი ლენინგრადის საუკეთესო მუშების, სოციალისტური შრომის გმირების თაოსნობას, რომლებიც პროფტექნიკურ სასწავლებლებში პედაგოგიურ სამუშაოზე გადავიდნენ.

აღსანიშნავია, რომ პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებს უკვე სწავლის პერიოდში შეაქვთ თავიანთი წვლილი სახალხო მეურნეობაში. მათ მიერ დამზადებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ყოველწლიურად დაახლოებით 20 მილიონ მანეთს შეადგენს. გავრცელების ღირსია ლენინგრადის ოლქის მიჩურინის საშუალო სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის გამოცდილება, რომელიც ამზადებს მექანიზატორებისა და მეცხოველეების მაღალკვალიფიციურ კადრებს; მის სასწავლო მეურნეობაში აწარმოებენ ხორცს, რძესა და ბოსტნეულს ისეთი მოცულობით, რომელიც აკმაყოფილებს როგორც სასწავლებლის, ისე დაბის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მოთხოვნილებას.

ეჭვს არ იწვევს, რომ ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის პროფტექნიკური განათლების სასწავლებლები კვლავაც იდგებიან მუშათა კადრების მომზადების საბჭოთა სისტემის პირველ რიგებში, აღზრდიან ჰარმონიულად განვითარებულ, პოლიტიკურად წიგნიერ, კომუნიზმისათვის იდეურად მტკიცე მებრძოლებს.

დარწმუნებული ვარ, რომ პროფტექნიკური სასწავლებლების ახალი შევსება სწავლის წლებში ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელი ენერგიით, ენთუზიაზმითა და შემოქმედებითი შრომის წყურვილით შეითვისებს უფროს თაობათა რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებს, ღირსეულად ატარებს საბჭოთა მუშის საამაყო წოდებას, ახალ ბრწყინვალე ფურცლებს ჩაწერს ხალხის გმირული მიღწევების მატიანეში. ამაში დაგეხმარებიან გამოცდილი, გულისხმიერი და მზრუნველი დამრიგებლები, პედაგოგები, აღმზრდელები.

გისურვებთ, ძვირფასო მეგობრებო, დიდ წარმატებებს დასახული მიზნების მიღწევაში. დარწმუნებული ვარ, რომ წარჩინებული სწავლითა და დამკვრელური შრომით თქვენს წვლილს შეიტანთ სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის გეგმების შესრულებაში!

ლ. ბრეჟნევი

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის შესავალი სიტყვა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმზე 1982 წლის 14 მაისს

ამხანაგებო!

სანამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგ პლენუმს გავხსნიდე, მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა თვით ჩვენი პლენუმის შესახებ, რადგან ამის უთქმელობა არ შეიძლება.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს — და ეს, ალბათ, გაზვიადებად არ ჩამომერთმევა, — **რომ ჩვენი ცენტრალური კომიტეტის არც ერთი პლენარული სხდომისათვის არ მოვმზადებულვართ ისე გულდასმით, ზედმიწევნით, ისეთი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, როგორც ამ პლენუმის — მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისადმი მიძღვნილი პლენუმისათვის ვემზადებოდით.**

ამიტომაც იყო, რომ რამდენჯერმე მოგვიხდა პლენუმის გადადება, თუმცა დათქმული გვქონდა მისი მოწვევის ვადა. ცენტრალურ კომიტეტში კარგად გვესმოდა, კარგად ვგრძნობდით, — ამას ცენტრალური კომიტეტის მთელი ბიურო გრძნობდა, — რომ პირველ ხანებში მზად არ ვიყავით ასეთი პლენუმისათვის. მთავარი ხომ ის არ იყო, რომ პლენუმზე კარგი მოხსენება წაგვეკითხა. ჩვენს მთავარ ამოცანად მიგვაჩნდა, **პლენუმზე მოვსულიყავით მეცნიერების შემდგომი აღმავლობისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ზუსტად შემუშავებული პროგრამით, შედგენილი გვქონოდა მეცნიერული შემოქმედების პროცესის უფრო სრულყოფილი მართვის, ფუნდამენტურ მეცნიერებათა განვითარების, რესპუბლიკის ცხოვრებაში, პრაქტიკაში, სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ მიღწევათა დანერგვის დეტალურად გააზრებული სქემა.**

პლენუმზე უნდა წარვმდგარიყავით, როგორც ერთხელ უკვე ითქვა, ამ პროცესზე პარტიული ზეგავლენის გააქტიურების, გაძლიერების ფართო პროგრამით. პლენუმზე უნდა შემოგვეტანა კონკრეტული წინადადებები სამეცნიერო დაწესებულებების, მათი პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების გზების, ფორმებისა და მეთოდების თაობაზე.

თავდაპირველად ამ საქმეში ბევრი რამ ბუნდოვანი იყო, ბევრი რამ საჭიროებდა ღრმა ანალიზს, და როგორც ყოველთვის, შეიქმნა იმის საჭიროება, რომ მოვთათბირებოდით ჩვენს პარტიულ აქტივს, მშრომელებს, ჩვენს საზოგადოებრიობას, მოგვესმინა მისი აზრი, ერთად გვესაუბრა, გვემსჯელა მნიშვნელოვან, ყველაზე პრინციპულ საკითხებზე.

და მოვაწყვეთ კიდეც ძალიან საინტერესო შეხვედრები და საკმაოდ ხანგრძლივი საუბრები ღვაწლმოსილ მეცნიერებთან, მეცნიერებისა და ტექნიკის თვალსაჩინო მოღვაწეებთან, აკადემიური და დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მუშაკებთან, საკონსტრუქტორო-ტექნიკური ბიუროების, სამეცნიერო ლაბორატორიების ხელმძღვანელებთან, უმაღლესი სასწავლებლების რექტორებთან და კათედრების გამგეებთან, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან, წარმოების მეთაურებთან, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკებთან, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებთან, ჩვენი უფართოესი საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან.

მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისადმი მიძღვნილი პლენუმისათვის მზადებასთან დაკავშირებით პრესაში გამოქვეყნდა **საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი საქართველოს სს რესპუბლიკის კომუნისტებისა და კომკავშირელების, მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის სპეციალისტების, ყველა მშრომელის მიმართ.** ეს გასული წლის ივლისში იყო. ფაქტობრივად კი ამ პლენუმისათვის მზადება გაცილებით ადრე დავიწყეთ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი შეხვედრისათვის მზადება ორი, ის კი არა, მთელი სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა.

და მთელი ამ დროის განმავლობაში, მეტადრე მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ცენტრალური კომიტეტის წერილი, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მოსდიოდა მრავალრიცხოვანი გამოხმაურებანი, რომლებიც შეიცავდნენ ბევრ წინადადებას, სურვილს, კრიტიკულ შენიშვნას, რეკომენდაციასა და რჩევა-დარიგებას მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და მისი ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარების, მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისადმი პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფის გზებზე.

დღეს ამ ტრიბუნიდან მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყველა ორგანიზაციასა და პირს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჩვენი პლენუმის მომზადებაში, გამოგვიგზავნეს საინტერესო, ყურადსაღები წინადადებები, რჩევა-დარიგებები, რეკომენდაციები. ბევრი მათგანი შევიდა პლენუმის მონაწილეებისათვის დარიგებულ მოხსენების პროექტში, სხვა დოკუმენტებში, რომლებსაც პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო წარმოუდგენს დღეს ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმს.

უდიდეს მადლობას გიხდით ამისათვის, ამხანაგებო!

უდიდეს მადლობას გიხდით ამისათვის, ამხანაგებო, ამ პლენუმის მუშაობაში ასეთი აქტიური მონაწილეობისათვის.

განსაკუთრებით დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს პლენუმისათვის მზადების პერიოდში — და ეს საჭიროდ მიგვაჩნია სპეციალურად აღვნიშნოთ—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა.

ძალიან ბევრი რამ გააკეთეს ამ დროის მანძილზე პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განყოფილებებმა.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ დიდი დახმარება, რომელიც ამ პლენუმის მომზადებაში გაგვიწიეს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილებამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სხვა განყოფილებებმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტრომ, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ.

ძალზე ბევრი რამ მოგვცა მეცნიერების განვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დიდმა გამოცდილებამ, რომელიც შეიძინეს პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტმა და ლენინგრადის პარტიულმა ორგანიზაციამ, უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, სომხეთის, სხვა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, აგრეთვე სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებმა.

მნიშვნელოვანი მოვლენაა ის ფაქტი, რომ ჩვენი პლენუმის მუშაობაში მონაწილეობენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე კოტელნიკოვი, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის მინისტრი ამხ. ერლენ კირიკის ძე პერვიშინი, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. არნოლდ კონსტანტინეს ძე რომანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ამხ. იგორ მიხეილის ძე მაკაროვი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამხ. ვიქტორ სტეფანეს ძე შეველუხა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკი ამხ. ვლადიმერ პეტრეს ძე ვაშჩენკო.

განსახილველ საკითხზე მოხსენების პროექტი, როგორც იცით, წინასწარვე დაურიგდათ არა მარტო ცენტრალური კომიტეტის წევრებსა და წევრობის კანდიდატებს, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრებს, არამედ პლენუმის ყველა მონაწილესაც. ამასთან, უკლებლივ ყველა ამხანაგმა პლენუმის მუშაობის დაწყებამდე განიხილა მოხსენების ძირითადი დებულებანი, სხვა დოკუმენტები, პრაქტიკულ ღონისძიებათა გეგმა იმ სამუშაო ჯგუფების სხდომებზე, რომლებიც შეიქმნა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებების მიხედვით. სამუშაო ჯგუფების სხდომებს, როგორც მოგეხსენებათ, ხელმძღვანელობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები — ამხანაგები გ. ვ. კოლბინი, ჯ. ი. პატიაშვილი, ზ. ა. ჩხეიძე, გ. ნ. ენუქიძე, ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი ამხ. ს. ე. ხაბეიშვილი. მათი ცნობების თანახმად ამ ჯგუფების მუშაობა მეტად ნაყოფიერი იყო, სხდომებმა საინტერესოდ ჩაიარა, შემოტანილია კონკრეტული, საქმიანი წინადადებანი, რომლებსაც აგრეთვე გავითვალისწინებთ პლენუმის დოკუმენტების საბოლოო დახვეწის დროს.

ამრიგად, რაკი პლენუმის ყველა მონაწილე უკვე იცნობს მოხსენების ტექსტს, მისი წაკითხვა საჭირო არ უნდა იყოს. ერთადერთი, რაც მინდოდა მეთქვა ჩვენი მუშაობის დაწყებამდე, ის გახლავთ, ამხანაგებო, რომ შევთანხმდეთ ერთ საკითხში.

პლენუმისათვის წარმოდგენილი მოხსენების პროექტი შეიცავს ბევრ წინადადებას მეცნიერთა, მკვლევართა, დამპროექტებელთა, კონსტრუქტორთა **შრომის ორგანიზაციის ნაწილში.** მთელ მოხსენებას წითელ ზოლად გასდევს მსჯელობა **წარმოებასთან მეცნიერების უფრო მჭიდრო, უფრო ქმედითი ინტეგრაციის შესახებ,** წამოყენებულია წარმოებასთან მეცნიერების პარტნიორობის სხვადასხვა ფორმა, არსებული ფორმების, ასეთი ინტეგრაციის სისტემების სრულყოფის საკითხები, ნათქვამია, რომ მეცნიერების დაგეგმვა და მართვა დავაფუძნოთ უფრო სოლიდურ, ნამდვილად მეცნიერულ საფუძველზე.

მაგრამ აქვე უნდა დავძინო: ბევრი რამ, რაც პლენუმის განსახილველად არის წარმოდგენილი, ექსპერიმენტის სტადიაშია, პირდაპირ უნდა ვთქვათ, დისკუსიური ხასიათი აქვს. **ამიტომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მთელ შემადგენლობას, ყველა მოწვეულ ამხანაგს მოვუწოდებთ, როგორც ყოველთვის პირუთვნელად და გულახდილად გამოთქვან თავიანთი აზრი ყველა აღძრული საკითხის შესახებ.**

გულწრფელად გვსურს, რომ ჩვენს პლენუმზე გაიმართოს **ბოლომდე გულახდილი და ბოლომდე პრინციპული სჯა-ბაასი.** მინდა დავარწმუნო ამხანაგები, რომ ყოველივე ძვირფასს, ყოველივე სასარგებლოს, საინტერესოს, ახალს, პროგრესულს — ყველაფერს, რაც დაგვეხმარება მეცნიერების ახალი აღმავლობის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მიღწევაში, **ყურადღებით განიხილავს პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ღრმად შეისწავლის და შეიტანს ამ მიმართულებით მთელი ჩვენი შემდგომი მუშაობის პროგრამაში.**

მოდით, ამხანაგებო, ისე მოვიქცეთ, რომ მოხსენება პლენუმზე და ყველა დოკუმენტი, რომლებსაც იგი მიიღებს, ნამდვილად იყოს **ჩვენი საერთო, კოლექტიური შრომის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენარული სხდომის ყველა მონაწილის საერთო კოლექტიური გარჯის ნაყოფი.**

პიონერთა შეძახილი — მუდამ მზად იყავ!

მილიონობით საბჭოთა ადამიანის ბავშვობა ათწლეულების მანძილზე წითელი ყელსახვევის ნიშნით მიმდინარეობს.

ახლა თავის მე-60 წლისთავის იუბილეს ზეიმობს ორგზის ორდენოსანი ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაცია. სიმბოლურია, რომ ეს იუბილე აღინიშნება სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის წელს. „ყოველივე საუკეთესო — ბავშვებს!" — საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე კომუნისტური პარტიის მიერ გამოცხადებული ამ პრინციპით ცხოვრობს ქვეყნის ყველა მოძმე რესპუბლიკა, ასე განსაზღვრავენ ისინი თავიანთ პერსპექტივებსაც.

— მე წილად მხვდა პატივი ვყოფილიყავი საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში 1929 წელს მოსკოვში გამართულ პიონერთა პირველ სრულიად საკავშირო შეკრებაზე, — იგონებს ოთხმოცი წლის მარიამ გევონდიან-წერეთელი. — ვნახე, რა აღფრთოვანებით, რა შთაგონებით ლაპარაკობდნენ ბავშვები და მათი აღმზრდელები თავიანთ საქმეებზე. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, მაგრამ იგივე აღფრთოვანებას ვხედავ სახეებზე დღესაც.

მ. გევონდიან-წერეთელი და რესპუბლიკის პიონერული მოძრაობის სხვა ვეტერანები, ესტუმრნენ კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეს. აქვე არიან მათი პირველი აღზრდილები, უკვე არცთუ ახალგაზრდა ადამიანები, რომლებიც გახდნენ ბავშვების შემდგომი თაობის პიონერხელმძღვანელები. დიდი სამამულო ომის ორდენებთან და მედლებთან, მშვიდობიან დროში შრომითი მამაცობისათვის მიღებულ ჯილდოებთან ერთად ბევრს მკერდს უმშვენებს შვილიშვილების მიერ შებმული წითელი ყელსახვევი. ისინი თითქოს ცოცხლად განასახიერებენ რესპუბლიკის პიონერიის ისტორიას.

აქვე ჩამწკრივებულან მოსწავლეები — 80-იანი წლების პიონერები. „მწვანე პატრული" ტყეებში, „ცისფერი პატრული" მდინარეებსა და ტბებზე, „თეთრი ფარი" — მაკულატურის შეგროვების ოპერაცია — ასეთია პიონერულ საქმეთა დღევანდელი სპექტრი.

სიღნაღის ქალაქში ამ პატაკისათვის შეიკრიბნენ რესპუბლიკის პიონერული მოძრაობის ყველა თაობის წარმომადგენლები. აქ გაიმართა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტისა და პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს გაერთიანებული საზეიმო პლენუმი, რომელიც ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის მე-60 წლისთავს მიეძღვნა.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ორჯონიკიძემ. რესპუბლიკის პიონერიის სახელოვან გზაზე, მის დღევანდელ საქმეებსა და გეგმებზე ილაპარაკა თავის მოხსენებაში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, პიონერული ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ მ. ხაჩიძემ.

საქმეებით ხორცშესხმული რესპუბლიკის პიონერიის ისტორია — ეს არის ვოლგისპირეთის ბავშვებისათვის დახმარება 20-იან წლებში და ვიეტნამში მოსწავლეთა სასახლის მშენებლობის ფონდისათვის მოწყობილი შაბათობები — 80-იან წლებში. ეს არის წარსული ომის ფრონტებზე ტანკების კოლონა „საქართველოს პიონერი" და ბავშვების მიერ შეგროვებული ჯართით შექმნილი ელმავლები „საქართველოს პიონერი" ქვეყნის ფოლადის მაგისტრალებზე.

დღეს, ისევე როგორც ყოველთვის, საქართველოს 430 ათასი წითელყელსახვევიანი მო-

(დასასრული მე-2 გვ.).

XI ხუთწლედის მეორე წლის ოთხი თვის გაკვეთილები

მრეწველობა: ორიენტირი — დარგის, კავშირის საუკეთესო მაჩვენებლებზე

სოფელი: გაზაფხული ინურება. დავაჩქაროთ მინდვრის სამუშაოები

„დაე, ამ გაზაფხულიდან ყოველ ჩვენგანს კიდევ უფრო განუმტკიცდეს მისწრაფება ვიმუშაოთ უკეთ, ვიდრე აქამდე ვმუშაობდით, ვემსახუროთ მამულს კიდევ უფრო ნამუსიანად, ვიდრე აქამდე ვემსახურებოდით“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილიდან თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მე-10 წლისთავთან დაკავშირებით.

1.

... არის შიდასაწარმოო სოციალ-...

... მიეკუთვნა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი, ამავე პერიოდში შრომის ნაყოფიერება 14,6 პროცენტით გაიზარდა, დანახარჯები ერთ მანეთ სასაქონლო პროდუქციაზე კი 7 პროცენტით შემცირდა. **თუ 1980 წელს ხართავ წარმოებათა საწარმოო ხიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი 48 პროცენტს არ აღემატებოდა, შარშან იგი 65 პროცენტამდე გაიზარდა. საქსოვ წარმოებაში საწარმოო ხიმძლავრეთა გამოყენების კოეფიციენტი 48 პროცენტიდან 65 პროცენტამდე გადიდდა.**

ეკონომია და ინტენსიფიკაცია ურთმანეთოდ არ არსებობენ. კარგი მეურნის მარჯვენის, თვალ-...

გაუმჯობესებასთან ერთად გადაწყდა კომბინატის კოლექტივისათვის საარსებო მნიშვნელობის მთელი რიგი საკითხები. შარშან დაიწყო 90-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, აგრეთვე 9 სართულიანი საერთო საცხოვრებელი სახლის აგება კომბინატის მიმდებარე ტერიტორიაზე, განახლდა და დასასრულს უახლოვდება ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მიტოვებული სასადილოს და კლუბის მშენებლობა.

3.

რწმენის განმტკიცებას, იმის შეგნებას, რომ კარგი შრომა და ღირსეული ქცევა კოლექტივში აღიარებული და დაფასებული იქნება, მუშაკს ავტორიტეტს მოუხვეჭს, ხოლო სამუშაოს გამცდენებსა და უქნარებს, ფრენიებსა და წუნისმქნელებს მადლობას არავინ ეტყვის. კომბინატის ხელმძღვანელობა, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მრავალმხრივ ღონისძიებებს ახორციელებენ მოწინავეთა მორალური ავტორიტეტის ასამაღლებლად. განა მანეთს ძალუძს შეცვალოს კეთილი, ადამიანური სიტყვა, მთელი კოლექტივის მადლობა, რომელ-...

2.

... წახალისების ფონდიდან იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მისი წარმოქმნის წყაროს ვერ ქმნიდნენ. აი, როგორ პირობებში ჩაუდგა კომბინატს სათავეში კომუნისტი თენგიზ ტეტუნაშვილი, განათლებით ეკონომისტი, რომელმაც მსუბუქი მრეწველობ-...

... **წარმომ სამეურნეო წელი 1 მილიონ 586 ათასი მანეთი ზარალით დაასრულა, შარშან კი მოგებამ 800 ათასი მანეთი შეადგინა.**

ინდივიდუალური და კოლექტიური დისციპლინისა და პასუხისმგებლობის ამაღლების გზით ...

... დუქციის ხარისხთან, მომქირნეობის რეჟიმთან და სხვ. ეკონომიური სამსახურის (მთავარი ეკონომისტი ვ. ლომიტაშვილი) საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ საწარმოს მუშაკები (მათ შორის არაეკონომის-...

ჩამორჩენილიდან მოწინავემდე

- ინტერესი ინტენსიფიკაციის სამსახურში.
- რეზერვი თავისით არ ვლინდება.
- ეკონომიკური აზროვნება და კოლექტიური პასუხისმგებლობა.
- ინიციატივა: ქვემოდანაც, ზემოდანაც.

... ის სამინისტროს სისტემაში კარგა ხანია უნარიანი ორგანიზატორის სახელი დაიმკვიდრა.

ჩამორჩენას მრავალი მიზეზი ჰქონდა და მისი დაძლევის ღონისძიებებიც კომპლექსურად უნდა გადაწყვეტილიყო.

— **როცა ჩამორჩენის დაძლევის კომპლექსურ პროგრამაზე მუშაობას შევუდექით, — გვითხრა თ. ტეტუნაშვილმა, — ჩვენ გვამხნევებდა შეუდარებლად დიდი მასშტაბის მაგალითი ჩვენივე რესპუბლიკისა: ...**

... თანამიმდევრულად უმჯობესდება ...

... ტები) სულ უფრო მეტ დროსა და ...

... **ძირითად განმაზოგადებელ მაჩვენებელთა თანამიმდევრულმა გაუმჯობესებამ მუშაკთა მატერიალური კეთილდღეობის შესაბამისი გაუმჯობესება გამოიწვია — ერთი მომუშავის საშუალო თვიური ხელფასი გასულ წელს 22 მანეთით გაიზარდა და 175 მანეთი შეადგინა. ათი წლის შემდეგ პირველად გაიცა პრემიები საამქროთა ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და მოსამსახურეებისათვის.**

სოციალური საკითხების მოწესრიგება სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს შრომითი კოლექტივის საქმიანობაში. გასული წელი ამ მხრივაც იყო გამორჩეული. რეკონსტრუქციით გამოწვეული შრომის პირობების ...

... ამ რწმენა, ინიციატივაა საჭირო, ინიციატივა, რომელიც ქვემოდანაც უნდა მოდიოდეს და ზემოდანაც. ცალ-ცალკე ინიციატივას რეალური, ხელშესახები ეფექტი არასოდეს მოუცია.

შემთხვევითი სულაც არ არის, რომ კომბინატში უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებენ მუშაკის ...

... გვწამს, რომ ეს ჭილდო კიდევ უფრო გაამაგრებს „მუხლს“ კომბინატის მუშაკებს წარმოების ინტენსიფიკაციის გრძელსა და საპატიო გზაზე.

ზ. კაციაშვილი,

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გამოცდას იბარებს შრომითი ზაფხული — 82

გასულ ზაფხულს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შრომობდნენ სტუდენტური რაზმები, რომელთა მებრძოლების რიცხვი 16 ათასს აღწევდა. მათ შეასრულეს 13,5 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების მარტო სამშენებლო-სამონტაჟო და სხვა სპეციალური სამუშაოები, ხოლო გასვლითს რაზმებთან ერთად ამ ციფრმა თითქმის 25 მილიონი მანეთი შეადგინა. სამი ათასამდე მშენებელი სტუდენტი მუშაობდა რუსეთის სფს რესპუბლიკის არაშავმიწანიადაგიან ზონაში. კვლავ, ერთი წლის შემდეგ, საქართველოს სტუდენტების შრომითი ზაფხულის მარშრუტებმა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებშიც გაიარა.

აი რამდენიმე იმ მრავალრიცხოვანი საყურადღებო თაოსნობიდან, რომლებიც იშვა 1981 წლის შრომითი ზაფხულის დროს: საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტური ავტოსაგზაო სამშენებლო რაზმის მებრძოლებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ აქციაში „თვითონ ვაპროექტებთ, თვითონვე ვაშენებთ“, რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამინისტროს შეკვეთით თავიანთ სტუდენტურ ...

მდე კლუბი და ბიბლიოთეკა, შექმნეს 128 საკონსულტაციო პუნქტი ადგილობრივ აბიტურიენტთათვის. ყველგან ჩატარდა დამკვრელური შრომის დღეები.

შარშან ზაფხულში სახალხო მეურნეობის ობიექტებზე სტუდენტური რაზმებისა და უფროსკლასელთა შრომითი გაერთიანებების ნაყოფიერ საქმიანობას ხელი შეუწყო პარტიული და სამეურნეო ორგანოების, მასპინძელი საწარმოებისა და მეურნეობების ხელმძღვანელების ყურადღებამ და გულისხმიერებამ.

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებისა და მოსწავლეების შრომითი ზაფხულის ორგანიზაციის საქმეში იყო ...

ზრდობასთან იდეურ-პოლიტიკურ და აღმზრდელობით მუშაობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკის დარგობრივ სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ გააფართოონ იმ სპეციალიზებული სტუდენტური რაზმების შექმნა, რომელთა მუშაობის პროფილი შეესაბამება უმაღლეს სასწავლებელში მათ მიერ არჩეულ სპეციალობას, განავითარონ სასწავლებლებისა და სამეურნეო ორგანიზაციების უფრო მჭიდრო ...

... ფართო პროპაგანდა და შესწავლა. სტუდენტური სამშენებლო რაზმების მებრძოლებმა მოაწყვეს 5 ათასზე მეტი ლექცია, 700 კონცერტი, გააფორმეს ორასა-...

... საჭირო საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რაზმებში ახალგა-...

... ნის 60 წლის თავს აღნიშნავენ ახალი წარმატებებით სწავლასა და შრომაში, ღირსეულ წვლილს შეიტანენ ხუთწლედის გეგმების შესრულებაში. (საქინფორმი).

პიონერთა შეძახილი — მუდამ მზად იყავ!

(დასასრული)

სწავლე მხარს უსწორებს რესპუბლიკის კომკავშირელთა 800-ათასიან რაზმს. ცვლის ცვლას უწოდებენ პიონერებს, რითაც ხაზს უსვამენ პიონერული და კომკავშირული საქმეების მემკვიდრეობითობას, აღნიშნავენ მათ ადგილს რესპუბლიკის შრომით საქმეებში. პიონერებს კი დღეს ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ. დუშეთის რაიონის ახალგაზრდობამ გამოიჩინა კაკლის კორომების აღდგენის ინიციატივა და ამ ინიციატივას მაშინვე გამოეხმაურნენ ნორჩები რესპუბლიკის ყველა კუთხეში; ასობით ნერგი გაიზრდა გზების გასწვრივ. ბავშვები გაბედულად იჩენენ ინიციატივას ჭეშმარიტად სახელმწიფო საქმეთა გადაწყვეტაში. მარტო მეათე ხუთწლედის მან-...

... ძილზე მათ 22 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. წყალტუბოს ზონის პიონერებმა აღადგინეს ხორბლის უძველესი ქართული ჯიშები „მახა“ და „ზანდური“. ბავშვების მზრუნველი ხელი იგრძნეს ახმეტის რაიონის მევენახეებმა, როცა პიონერები უფროსების მხარდამხარ მუშაობდნენ დასეტყვილ ვენახებში. ხუთი დღის მანძილზე მათ აქ 45 ათასი ტონა ყურძენი მოკრიფეს.

„ერთად შერული სხივები“ — ასე ეწოდება კეთილ საქმეთა წიგნს, რომელსაც 80-იანი წლების პიონერები წერენ. იგი თითქოს განაგრძობს არკადი გაიდარის გაუსრულებელ მოთხრობას „უკანასკნელი ღრუბლები“, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლას ასახავს. ამ წიგ-...

... ნის ერთ-ერთი ნათელი ფურცელი გახდება პიონერული ქალაქის „მზიურის“ აშენება — მრავალი თაობის ოცნების ასრულება. ეს ქალაქი კიდევ ერთხელ მოწმობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის დიდ ზრუნვას მოზარდი თაობის აღზრდისათვის, ჯანმრთელობისათვის, ჰარმონიული განვითარებისათვის. ამ ზრუნვის პასუხად პლენუმზე გაისმა რესპუბლიკის პიონერთა ფიცი, რომ წმინდად დაიცავენ უფროს თაობათა სახელოვან ტრადიციებს, იცხოვრებენ, ისწავლიან, იშრომებენ ლენინურად, კომუნისტურად.

საზეიმო პლენუმის მონაწილეებმა მიიღეს წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე.

(საქინფორმი).

ჩვენი სასოფლო-სამეურნეო მიმოხილვა

თესვაში ჩამორჩენა დროულად აღმოვფხვრათ

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოპერატიული მონაცემებით, 13 მაისისათვის საგაზაფხულო კულტურები საგეგმო ...

... ვეროდაც არ არის შესრულებული თამბაქოს რგვის გეგმა.

... თესვის აგროვადა დამთავრდა, ეს კულტურა სამარცვლედ ჯერ კიდევ დიდ ფართობებზე აქვთ დასათესი თიანეთის და თეთრი წყაროს რაიონებში.

მართალია, დასავლეთ საქართველოს რაიონებს საგაზაფხულო თესვაში წყალდიდობამ შეუშალა ხელი, მაგრამ სადაც ორგანიზებულად იშრომეს, მთელი ძალა და ...

მოყვანას, რის გამოც შარშან ძალზე მცირე მოსავალი მოიწიეს.

მართალია, გაზაფხულის წვიმები აფერხებენ მინდვრის სამუშაოებს, მაგრამ, მეორე მხრივ, სარეველები მოაქვთ, ხელს უწყობენ ნათესების განვითარებას. ეს განსაკუთრებით მეთამბაქოებს ეხებათ. თუმცა, ამ გარემოებას ...

... სტატისტიკური სამმართველოს უახლესი მონაცემებით, საგაზაფხულო კულტურები შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 25 ათასი ჰექტარით ნაკლებია დათესილი.

განსაკუთრებით ნელი ტემპით ითესება ბარდა, სოია, ერთწლოვანი საკვები კულტურები. სანახ-...

... დებისა და სხვა რაიონებში.

ბოსტნეულის თესვის ტემპის მაჩვენებლით საშუალო რესპუბლიკურ დონეს მნიშვნელოვნად გაუსწრეს წყალტუბოს ზონის, გორის, გარდაბნის, მარნეულის რაიონების მეურნეობებმა. მაგრამ თესვის ფრონტზე ყველა ერთნაირი შემართებით როდი იბრძვის.

მიუხედავად იმისა, რომ შერიის ...

... დაამთავრონ სიმინდის თესვა.

როგორც აღვნიშნეთ, მეტისმეტად ნელი ტემპით ითესება სოია, რომლის გეგმა მხოლოდ 31 პროცენტით არის შესრულებული. ამ ისედაც სავალალო მაჩვენებელს ჩამორჩებიან კასპის, გორის, სიღნაღის, ყვარლის, სამტრედიის რაიონების და წყალტუბოს ზონის მეურნეობები.

... ოდ 24-35 პროცენტით აქვთ რეალიზებული.

წლევანდელი საგაზაფხულო თესვის ფრონტზე ჩამორჩენაში ნიშანდობლივი ის არის, რომ ზოგი რაიონისათვის ნაკლოვანებები ტრადიციული გახდა. მაგალითად, სამტრედიისა და წყალტუბოში წლითიწლობით ჭკუაზე ყურადღება არ ექცევა სოიის მოყვა-...

... მეებმა გეგმის შესრულებაში 26 პროცენტით გაუსწრეს.

ახლა თესვის გადამწყვეტი დღეებია, რომლის თითოეული საათი მიწათმოქმედებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ იმისათვის, რომ დროულად აღმოფხვრან ჭირვეული გაზაფხულის გამოწვეული ჩამორჩენა.

არმიელი კომუნისტების თათბირი

კრემლის დიდ სასახლეში 13 მაისს მუშაობა დაამთავრა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ...

... ლად უდევს ჯარებისა და ფლოტის წინაშე დასახულ კონკრეტულ ამოცანათა შესრულებასთან ...

... შალმა დ. თ. უსტინოვმა. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ ...

... ლიტმუშაკები.

თათბირის მონაწილეებმა განაგრძეს მოხსენებათა განხილვა. აღინიშნა, რომ პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა მიზნად ისახავს მაღალი პოლიტიკური სიფხიზლისა და მუდმივი საბრძოლო მზადყოფნის შესახებ კომუნისტური პარტიის მოთხოვნათა სრულ შესრულებას, მას საფუძ-...

... საბოლოო სიტყვა შეკრებილთა წინაშე წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა დ. თ. უსტინოვმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

ყველა საბჭოთა მეომრის სახელით საბჭოთა კავშირის მარ-...

... და ქვეყნად მშვიდობის დაცვას.

თათბირზე დიდი აღფრთოვანებით მიიღეს წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

ამით პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივანთა სრულიად არმიის თათბირმა მუშაობა დაამთავრა. (სატასი).

საერთაშორისო ცხოვრება

დედამიწის ზურგზე

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

ბელადის ძეგლი

თერმეზი (სურხანდარიის ოლქი). აქ გაიმართა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილი მრავალათასიანი მიტინგი, რომელშიც მონაწილეობდნენ პარტიისა და მთავრობის დელეგაციები: სსრ კავშირის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის შ. რ. რაშიდოვის მეთაურობით, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის — ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის ბ. ქარმალის მეთაურობით.

მიტინგზე გამოვიდნენ ბ. ქარმალი და შ. რ. რაშიდოვი.

დელეგაციის მეთაურებმა ძეგლი ყვავილებით შეამკეს.

ინგლის-არგენტინის კონფლიქტი

ბუენოს-აირესიდან მოსული ცნობებით, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ დაიწყო ამერიკელი მოქალაქეების ევაკუაცია. პოლიტიკურ მეთვალყურეთა აზრით, ეს იმით აიხსნება, რომ არ არის გამორიცხული ინგლისსა და არგენტინას შორის ფართო საბრძოლო მოქმედების დაწყება. ამერიკის საელჩოსა და სხვა წარმომადგენლობათა თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები ბუენოს-აირესიდან ურუგვაიში გადადიან. იქვე გადააქვთ ამერიკის საელჩოს დოკუმენტაცია. გარდა ამისა, არგენტინაში მოქმედი ამერიკის უდიდესი კომპანიები ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებში გადარიცხავენ თავიანთი კაპიტალებისა და ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვან ნაწილს, გადაჰყავთ აგრეთვე ამერიკის მოქალაქეობის მქონე პერსონალი.

სამხრეთ ატლანტიკაში შეიმჩნევა სამხედრო მოქმედების გააქტიურება. ინგლისის ესკადრა კვლავ ინტენსიურად უშენს ქვემეხების ცეცხლს ფოლკლენდის კუნძულებს და თავს ესხმის არგენტინის შეუიარაღებელ გემებს.

მიუხედავად ინგლისის შეიარაღებული ძალების თავმოყრისა და შეერთებული შტატების დახმარებისა, ნატოს წრეებში აცხადებენ, რომ ინგლისის ფლოტი სამხრეთ ატლანტიკაში ძნელ მდგომარეობაშია. ამის დასტურად ის ფაქტი მოჰყავთ, რომ დღემდე ვერ მოუღწევია უპირატესობისათვის ჰაერში. ამის გამო გამოთქვამენ ვარაუდს, რომ ბრიტანეთის ესკადრას შეიძლება შეუერთდეს ერთ-ერთი ამერიკული ავიამზიდი, რომლის თვითმფრინავები უზრუნველყოფენ ინგლისის ფლოტის დაცვას, განსაკუთრებით სადესანტო ოპერაციების დროს.

არგენტინის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლ. გალტიერიმ განაცხადა, რომ არგენტინა მზად არის ყველა სადავო საკითხი დიპლომატიური მოლაპარაკების გზით გადაწყვიტოს. „როცა არსებობს ორ მთავრობას შორის აზრთა ურთიერთგაზიარების შესაძლებლობა, ყოველთვის შეიძლება ორივე მხარისათვის მისაღები შეთანხმების მიღწევაც“ — ხაზგასმით აღინიშნა არგენტინის მთავრობის მეთაურმა. ამავე დროს, თქვა მან, არგენტინელი ხალხი არ დასთანხმდება ისეთ მორიგებას, რომელშიც გათვალისწინებული არ იქნება ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებზე სუვერენიტეტის საკითხი.

● პორტუგალია

თავდასხმის ცდა

რომი. როგორც იტალიის ანსას საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, პორტუგალიის ქალაქ ფატიმაში სცადეს მოეკლათ კათოლიკური ეკლესიის მეთაური, რომის პაპი იოანე პავლე მეორე, რომელიც სამლოცველო მოგზაურობაში იმყოფება პორტუგალიაში. უცნობმა მამაკაცმა, რომელსაც ანაფორაში ხიშტი ჰქონდა დამალული, სცადა მიჭრილიყო იოანე პავლე მეორესთან, მას რამდენიმე ნაბიჯზე მიუახლოვდა კიდეც, მაგრამ იგი ვატიკანის დაცვის უფროსმა დააკავა.

როგორც ვატიკანის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჟურნალისტებს განუცხადა დამნაშავემ, ეროვნებით ესპანელმა, პოლიციას აცნობა, რომ განზრახული ჰქონდა მოეკლა რომის პაპი. ანსას სააგენტოს მონაცემებით, იგი ნამდვილად ყოფილა მღვდელი, ულტრაკონსერვატიული ფრანგი ეპისკოპოსის მარსელ ლეფევრის მიმდევარი.

● იტალია

ოქმი მოიწონეს

რომი. იტალიის პარლამენტის დეპუტატთა პალატამ 218 ხმით 188-ის წინააღმდეგ მოიწონა ოქმი ნატოში ესპანეთის შესვლის შესახებ. ამ სამხედრო ბლოკში მისაღებად აუცილებელია, რომ მას მხარი დაუჭიროს ნატოს ყველა ქვეყნის პარლამენტმა.

ნატოს გაფართოების წინააღმდეგ რომ მისცეს ხმა, მემარცხენე ოპოზიციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ესპანეთის შესვლა ნატოში დაარღვევს სამხედრო წონასწორობას ევროპაში.

● ნიკარაგუა

ვადა გააგრძელეს

მანაგუა. ნიკარაგუის ეროვნული აღორძინების მთავრობის ხელმძღვანელმა საბჭომ 30 დღით გააგრძელა ქვეყანაში საგანგებო წესების შესახებ დეკრეტის მოქმედების ვადა. იგი შემოიღეს 15 მარტს იმპერიალისტური აგრესიის საფრთხის გაძლიერების გამო.

● ავსტრია

მოლაპარაკება განახლდა

ვენა. ავსტრიის დედაქალაქში განახლდა მოლაპარაკება ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ, რომელშიც მონაწილეობენ ევროპის 17 ქვეყანა, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა. სოციალისტური სახელმწიფოები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ვენის ფორუმს, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ევროპის კონტინენტის ცენტრში საშიში სამხედრო კონფრონტაციის შესუსტების პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც განსაკუთრებით საჭიროა ახლანდელ გართულებულ საერთაშორისო ვითარებაში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის ხელმძღვანელმა ა. ვილანდმა მოლაპარაკების მონაწილეთა ყურადღება მიაპყრო პირველი შეთანხმების პროექტს, რომელიც წინა რაუნდზე შემოიტანა პოლონეთის დელეგაციამ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახელით. მოლაპარაკებაზე პროექტის შეტანამ თვისებრივად ახალი სიტუაცია შექმნა. სოციალისტური ქვეყნების დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მრავალი წლის დისკუსიებზე შექმნილ ყოველივე დადებითს, სახავს ჯერ კიდევ გადაუჭრელი საკითხების გადაწყვეტის გზებს, საიმედო საფუძველს უქმნის შეთანხმების ურთიერთმისაღებ ტექსტზე ერთობლივ მუშაობას.

ლავროსი კალანდაძე



გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და კრიტიკოსი, 1921 წლიდან სკკპ წევრი ლავროსი კალანდაძე.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი შემოქმედი, რომელიც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე უანგაროდ, ერთგულად ემსახურებოდა მშობელ ქვეყანას, მშობელ ხალხს.

ფართო და მრავალმხრივმა ერუდიციამ, უტყუარმა ალღომ და დიდმა გემოვნებამ იმთავითვე მოუპოვა ლავროსი კალანდაძეს დამსახურებული ავტორიტეტი. ბუნებრივი ნიჭით უხვად დაჯილდოებული კრიტიკოსი საბჭოთა ლიტერატურის პრინციპების თავგამოდებული დამცველი იყო, მუდამ სოციალისტური რეალიზმის გამარჯვებისათვის მებრძოლთა წინა რიგებში იდგა.

ლავროსი გიგილოს ძე კალანდაძე დაიბადა 1908 წლის 28 დეკემბერს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში, ღარიბი გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება სოფლის სკოლაში მიიღო, შემდეგ სწავლობდა ჩოხატაურის გიმნაზიაში. 1920 წლის დასაწყისში ლავროსი კალანდაძე საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში, შრომობდა და თან განაგრძობდა სწავლას. 1921 წლიდან, საშუალო განათლების მთლიანი კურსის დასრულების შემდეგ, ლავროსი კალანდაძე ეწეოდა ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა ხიდისთავის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად, ოზურგეთის მაზრის ხიდისთავის პარტიის რაიკომის პასუხისმგებელ მდივნად, მეორე ქართული დივიზიის ასეულის პოლიტხელად და გაზეთის რედაქტორად, ჟურნალ „განათლების მუშაკის“ რედაქტორად, საქდესის დირექტორის მოადგილედ, სახელგამის სარედაქციო სამმართველოს უფროსად, ჟურნალ „მნათობის“ კრიტიკის განყოფილების გამგედ, საქართველოს მწერალთა კავშირის ლიტერატურულ კონსულტანტად, ჟურნალ „მნათობის“ პასუხისმგებელ მდივნად, გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ მთავარ რედაქტორად, გამომცემლობა „მერნის“ მთავარი რედაქტორის მოადგილედ. ყველგან, სადაც უნდა ემუშავა ლავროსი კალანდაძეს, ამაყად და უმწიკვლოდ ატარებდა კომუნისტი მწერლის საპატიო სახელს.

დიდია ლავროსი კალანდაძის დამსახურება ქართული კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების საქმეში, რომელსაც იგი ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ემსახურა.

ლავროსი კალანდაძის კრიტიკული წერილები, სტატიები, გამოკვლევები და მონოგრაფიები სისტემატურად იბეჭდებოდა ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ლავროსი კალანდაძის ის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, რომლებშიც ვრცლად არის განხილული გამოჩენილი ქართველი პროზაიკოსებისა და პოეტების ა. აბაშელის, გ. ქუჩიშვილის, კ. გამსახურდიას, ლ. ქიაჩელის, პ. იაშვილის, ი. გრიშაშვილის, ს. ჩიქოვანის, გ. ტაბიძის, ა. მირცხულავას და სხვათა ნაწარმოებები. ამ წერილებმა იმთავითვე მიიქცია მკითხველის ყურადღება სიღრმით, მებრძოლი პუბლიცისტური პათოსით, მახვილი კრიტიკული ალღოთი, ორიგინალური მხატვრული სტილითა და წერის მანერით.

ლავროსი კალანდაძის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკური პრობლემებისადმი მიძღვნილი ვრცელი კრიტიკული წერილები და სტატიები.

ლავროსი კალანდაძე წლების მანძილზე არჩეული იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობისა და კრიტიკის სექციის ბიუროს წევრად.

მისი უანგარო ღვაწლი სათანადოდ დააფასეს მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ. ლავროსი კალანდაძე დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

ჩვენგან წავიდა ვალმოხდილი შემოქმედი, შესანიშნავი კრიტიკოსი და მოქალაქე, რომლის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ქართველი მწერლების, მადლიერი მკითხველის გულში.

ე. ა. შევარდნაძე, გ. ნ. ენუქიძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ზ. ჯანბერიძე, ო. ვ. თაქთაქიშვილი, ი. ბ. აბაშიძე, გ. გ. აბაშიძე, ნ. ვ. დუმბაძე, ე. ს. მაღრაძე, დ. ა. ალექსიძე, ე. დ. ამაშუკელი, გ. ზ. ორჯონიკიძე, ე. ნ. შენგელაია, გ. ზ. ციციშვილი, ჯ. ა. ჩარკვიანი, ზ. გ. ნიშნიანიძე, რ. ს. მიმინოშვილი, თ. ი. ჭილაძე, გ. ტ. ლასურია, ფ. ი. ხალვაში, კ. ი. მარგიევი, დ. მ. კვიცარიძე, ხ. მ. ბერულავა, გ. ი. ფანჯიკიძე, გ. კ. ნატროშვილი, ვ. ვ. ჭელიძე, რ. ა. მარგიანი, გ. ლ. ასათიანი, მ. თ. ფოცხიშვილი, კ. ა. ლორთქიფანიძე, კ. რ. კალაძე, ს. ე. ჭილაია.

მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების გუშაგი

ა. ი. გრიბკოვი,

არმიის გენერალი, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი

27 წელი შეუსრულდა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციას — სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების თავდაცვითს სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს. ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის შექმნა იმპერიალიზმის აგრესიულ მისწრაფებებზე საპასუხო ღონისძიება იყო. 1949 წლის აპრილში შეიქმნა იმპერიალიზმის ისტორიაში უდიდესი სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფება — ჩრდილოატლანტიკური ბლოკი, რომლის მახვილი საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ არის მიმართული. მოგვიანებით გაჩნდა იმპერიალისტური ქვეყნების ახალი სამხედრო ბლოკები და კავშირები.

საბჭოთა კავშირი და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოები იძულებული გახდნენ ეხმარათ ღონისძიებანი თავიანთი უშიშროების უზრუნველსაყოფად. 1955 წლის 14 მაისს ვარშავაში ხელმოწერილ იქნა მრავალმხრივი ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. მოძმე ქვეყნების ეს სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რომელიც ისტორიაში ვარშავის ხელშეკრულების სახელწოდებით შევიდა, განასახიერებს სოციალიზმის კოლექტიური დაცვის ლენინურ იდეებს. იგი საიმედოდ ემსახურება მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებს.

ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის სიმტკიცეს, ურღვეობას და უპირატესობას ის განსაზღვრავს, რომ მას აქვს მკვიდრი სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური და სამხედრო-სტრატეგიული საფუძვლები, რომლებსაც აერთიანებს სოციალიზმის მონაპოვართა კოლექტიური დაცვის მიზნებისა და ინტერესების ერთიანობა.

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ობიექტურ საფუძვლებს განამტკიცებს და აძლიერებს კომუნისტური და მუშათა პარტიების პრაქტიკული საქმიანობა, რომლებსაც ხელმძღვანელი როლი ეკუთვნით სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების განვითარება-განმტკიცებაში. სწორედ ისინი განსაზღვრავენ სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის ფორმებს, შეთანხმებულად ამუშავებენ ღონისძიებებს კოლექტიური თავდაცვის დარგში, უზრუნველყოფენ თავიანთი ქვეყნების შეიარაღებული ძალების მაღალ საბრძოლო მზადყოფნას, რაზმავენ ხალხსა და არმიების პირად შემადგენლობას მთელი სოციალისტური თანამეგობრობის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის.

სოციალისტური სახელმწიფოების გაერთიანებული სამხედრო ძალა, რომლის ბირთვია საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძლიერება, მათი დაცვის საიმედო გარანტიაა. ძნელი წარმოსადგენია რა ბედს განუმზადებდა კაცობრიობას იმპერიალიზმი, გზაზე ვარშავის ხელშეკრულება რომ არ ედგეს.

სანამ ნატოს ბლოკი არსებობს, სანამ მილიტარისტული წრეები გამალებულ შეიარაღებას ეწევიან, სსრ კავშირი ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სხვა სახელმწიფოებთან ერთად განამტკიცებს თავის სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს. „განვლილმა პერიოდმა დამაჯერებლად გვიჩვენა, თუ რაოდენ გავლენიანსა და სასიკეთო როლს ასრულებს ევროპის და მთლიანად საერთაშორისო საქმეებში ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია, უწინარეს ყოვლისა, მისი პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის საქმიანობა“, — აღინიშნა სკკპ XXVI ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

მთელ თავის 27 წლის გზაზე ჩვენი თავდაცვითი სამხედრო-პოლიტიკური კავშირი უცვლელად გამოდის ინიციატორად საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დამკვიდრების საქმეში. სოციალისტური თანამეგობრობის იმპერიალისტური საფრთხისაგან დაცვას, ევროპის მშვიდობის განმტკიცების პროგრამის შემუშავებასა და დაკონკრეტებას მიეძღვნა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირების უმრავლესობა.

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები, რომლებიც ახორციელებენ კოორდინირებულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, ამავე დროს ითვალისწინებენ იმპერიალიზმის გაზრდილ აგრესიულობასაც.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დაადგნენ სსრ კავშირზე სამხედრო-სტრატეგიული უპირატესობის მოპოვების, დიდი მასშტაბის, ტოტალური გამალებული შეიარაღების გაძლიერების კურსს. ამუშავებენ ახალ-ახალ სახეობათა სამხედრო ტექნიკას, მასობრივი მოსპობის იარაღს. კაცობრიობას ემუქრებიან ნეიტრონული ბომბით, ქიმიური და სხვა იარაღის ამაზრზენი სახეობებით. აწყობენ გეგმებს, როგორ განალაგონ დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული საშუალო სიშორის რაკეტები — პირველი ბირთვული დარტყმის პოტენციალი.

ყოველივე ეს საფრთხეს უქადის ჩვენს ქვეყანას და მის მოკავშირეებს შეერთებული შტატების მხრივ და შეიძლება დაარღვიოს სამხედრო-სტრატეგიული ბალანსი ევროპაში, ძირი გამოუთხაროს შეიარაღებისადმი ყოველგვარი კონტროლის შესაძლებლობას, ხოლო ყველაზე უარეს შემთხვევაში — გამოიწვიოს ბირთვული ომი. მაშასადამე, ობიექტური ჭეშმარიტება ის არის, რომ იმპერიალისტური აგრესიის თავიდან აცილებისა და მისგან დაცვის გარანტიას წარმოადგენს კოლექტიური თავდაცვა.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც რეალურად ითვალისწინებენ საერთაშორისო ვითარების სირთულეს, იძულებული არიან ნიადაგ იზრუნონ თავიანთი თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისათვის. სულ უფრო სრულყოფილი ხდება სამხედრო თანამშრომლობის მექანიზმი, რომელიც მოკავშირე არმიების ცხოვრებისა და საქმიანობის პრაქტიკულად ყველა მხარეს მოიცავს. აქტიურად ფუნქციონირებენ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების თავდაცვის მინისტრთა კომიტეტი, გაერთიანებული სარდლობა, გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სამხედრო საბჭო და სხვა ორგანოები, რომლებიც შეთანხმებულ წინადადებებსა და რეკომენდაციებს ამუშავებენ მოკავშირე ქვეყნების თავდაცვის შემდგომი განმტკიცების მიზნით.

ეყრდნობიან რა თავიანთი ქვეყნების სამხედრო-ეკონომიკურ და მეცნიერულ-ტექნიკურ პოტენციალს, მჭიდრო თანამოქმედებას სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამის ფარგლებში კომუნისტური და მუშათა პარტიები და მთავრობები ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს, რათა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში გამოყოფილ შენაერთებსა და ნაწილებს ჰქონდეთ თანამედროვე ორგანიზაცია, უახლესი იარაღი და საბრძოლო ტექნიკა.

მათი საბრძოლო ძლიერების საფუძველს შეადგენენ კომუნიზმის იდეალებისა და სოციალისტური საბრძოლო კავშირის ერთგული სამხედრო კადრები. ჩვენი არმიების მეომრები იზრდებიან მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, კომუნისტური და მუშათა პარტიების, თავიანთი ხალხების რევოლუციური და საბრძოლო დიდების გმირული ტრადიციებით.

გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალებში მუდმივი ყურადღება ეთმობა ჯარებისა და ფლოტების ძალების საბრძოლო მზადყოფნის განუხრელ ამაღლებას. ეს მუშაობა წარმოებს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირებზე სამხედრო მშენებლობის საკითხთა გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

ჯარებში და ფლოტებზე უმთავრესი ყურადღება ეთმობა პირადი შემადგენლობის საველე, საჰაერო და საზღვაო გაწვრთნილობის სრულყოფას, თანამედროვე ბრძოლის წარმოების ხელოვნების დაუფლებას, იმ უნარის გამომუშავებას, რომ სრულად გამოიყენონ იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის საბრძოლო შესაძლებლობანი, დაამარცხონ ძლიერი, ტექნიკურად აღჭურვილი მოწინააღმდეგე, მტკიცედ იმოქმედონ დღისით თუ ღამით კლიმატისა და ამინდის რთულ პირობებში, ყოველგვარ ადგილზე.

ყველა ამ რთული ამოცანის გადაწყვეტა ხორციელდება საბრძოლო სწავლების შემდგომი ინტენსიფიკაციის, ტაქტიკური, ტაქტიკურ-სპეციალური და საკომანდო-საშტაბო წვრთნის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლების გზით.

ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების გაერთიანებული შეიარაღებული ძალების წვრთნასა და მანევრებს დიდი საგარეო-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ: ისინი საქვეყნოდ ცხადყოფენ სოციალისტური არმიების მონოლითურობას და შეკავშირებას, მათს მუდმივ მზადყოფნას ერთსულოვნად აღსდგნენ სოციალიზმის მონაპოვართა დასაცავად იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ.

მოძმე არმიებისა და ფლოტების ერთობლივი წვრთნა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მეომართა საბრძოლო ოსტატობის ზრდის მძლავრი სტიმულია. იგი ყოველთვის მკაფიოდ ცხადყოფს მოკავშირე არმიების ნიადაგ მზარდ საბრძოლო თანამეგობრობას, ინტერნაციონალურ სოლიდარობას, ჯარების მეგობრობასა და ამხანაგობას.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების არმიები პირადი შემადგენლობის მორალურ-პოლიტიკური და საბრძოლო თვისებებით, ორგანიზაციული სტრუქტურით, ტექნიკური აღჭურვით, მატერიალურ საშუალებათა უზრუნველყოფით, ოფიცერთა კორპუსის პროფესიული მომზადებით, შენაერთების, ნაწილებისა და ხომალდების საველე, საჰაერო და საზღვაო გაწვრთნილობით სრულად შეესაბამებიან ყველა ძირითად თანამედროვე მოთხოვნას და შეუძლიათ უზრუნველყონ სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებელთა მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომა

ფოტოინფორმაცია

● ბელგია

ბელგიის შრომის საყოველთაო ფედერაციის მოწოდებით მშრომელთა ახალი რაზმები ებმებიან თავიანთი უფლებებისათვის, „მკაცრი ეკონომიის“ წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც ზიანს აყენებს ხალხის ფართო მასების ინტერესებს.

სურათზე: მეტალურგთა გაფიცვა ბრიუსელში. დემონსტრანტთა წინააღმდეგ პოლიციის გაძლიერებული რაზმები გამოიყვანეს.

ბელგა-საქდესის ფოტო.

ის, რაც კალმის წვერს მოჰყვა

ცნობილი ქართველი კრიტიკოსის ლავროსი კალანდაძის ყოველთვის საინტერესო პუბლიკაციები ბოლო დროს მოაკლდა ქართველ მკითხველს. ამის მიზეზი მწერლის ავადმყოფობა იყო. და მიუხედავად ავადმყოფობისა, პატივცემულმა ლავროსიმ შეიწყნარა რედაქციის თხოვნა, გულმოდგინედ იმუშავა და დროულად გამოუგზავნა რედაქციას წერილი სათაურით: „ის, რაც კალმის წვერს მოჰყვა“, რომელშიც განაზოგადა თავისი შეხედულებანი პიროვნულობაზე. მასალა უკვე აწყობილი იყო, რომ მოულოდნელად მივიღეთ სამწუხარო ცნობა.

ეს წერილი, რომელსაც დღეს მკითხველს ვთავაზობთ, თვალსაჩინო მწერლისა და კრიტიკოსის, პრინციპული შემოქმედისა და უმწიკვლო მოქალაქის უკანასკნელი ნაშრომია.

ისე, როგორც ყოველ დროსა და ყოველ ქვეყანაში ადამიანთა სხვადასხვა წრეებსა და ცალკეულ ადამიანებსაც კი გამოულევლად აქვთ გადასაწყვეტად მრავალგვარი სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკურ-კულტურული, ბიოლოგიურ-ბუნებისმეტყველო, ესთეტიკურ-ეთიკური და სხვა მრავალი დარგის პრობლემა. ჩვენს დროშიაც ჩვენ ყველა ერთად და ცალ-ცალკეც მეტნაკლებად ვდგავართ სხვადასხვაგვარი პრობლემებისა თუ ამოცანების წინაშე. ნუმც გამოგვლეოდეს საკითხები, ამოცანები, ვინაიდან მათი გამოლევა ჩვენი გათავებაც იქნებოდა.

მრავალ თავსატეხ საკითხთაგან, მსურს, ვცადო გამოვყო ერთი, ჩემი აზრით, საკმაოდ მწვავე და საჭირბოროტო საკითხი, შესაძლოა ერთობ ფილოსოფიურ-სიღრმისეულიც კი. საკმაოდ თავსატეხი საკითხი, უწინარეს ყოვლისა, პიროვნულობისა. თუ მსჯელობას ამ საკითხზე ამთავითვე მოვუძებნიდი სალოზუნგო დასკვნას, მას ასე ჩამოვაყალიბებდი: დავიცვათ პიროვნულობა, გავუფრთხილდეთ პიროვნულობას!

მაგრამ საზოგადოებრივი თვალსაზრისით საეჭვო და საჭოჭმანო რამ ხომ არ არის ამ ლოზუნგში?

მოდით ამ კითხვის პასუხი მოვიფიქროთ, მოვისაზროთ. რასაკვირველია მოვისაზროთ, მოვიფიქროთ არა თეიმურაზ ხევისთავისებურად, არამედ თანადროულობის საღი და გაბედული თვალსაზრისით. ვინ არ იცის, რომ ჭეშმარიტებამდე მისასვლელი გზა საკმაოდ უსწორმასწორო და ფათერაკიანია. ამ გზაზე არცთუ იშვიათია შეცდომაც, მარცხიც, სახიფათო მისახვევ-მოსახვევებიც, მაგრამ სიძნელემ გაბედულება არ უნდა ჩაუქროს სიმართლის მაძიებლებს.

ჩვენს დროს, ჩემი აზრით, ყველაზე მეტად მართებს პიროვნულობისა და პიროვნული გაბედულების დროშის აღმართვა. ვიცით, რომ ჩვენი ეპოქის მეცნიერულ-ტექნიკური განვითარება დაჟინებით აძლიერებს და აღრმავებს სტანდარტიზაციის ტენდენციას, სტანდარტიზაციის საჭიროებასაც კი. მიუხედავად ამისა, გაერთფეროვნებისა და გაუპიროვნებულობის სტიქია დაძლეული უნდა იქნეს. ამას მოითხოვს ადამიანთა ცხოვრების მოწყობა სილამაზის კანონების მიხედვით და, მაშასადამე, ადამიანთა კეთილდღეობაც. სილამაზის კანონი კი არსებითად საყოველთაოს ერთეულში გამოსახვისა თუ გაცხადების აქტია. ერთეულის, პიროვნულის, განუმეორებლის განვითარების გზა სილამაზის წარმოქმნის გზაა. სილამაზე კი ყოველთვის სწყუროდა და სწყურია ქვეყანას, ხალხს, სწყურია ზოგჯერ სტიქიურად, გაუაზრებლად, მეტწილად კი გააზრებულად, შეგნებულად. ეს საყოველთაო კანონზომიერება, რასაკვირველია არ გამორიცხავს სილამაზის სხვადასხვა შინაარსს სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა სოციალური წრეებისათვის. ადამიანთა სოციალური კეთილდღეობის ერთ-ერთ დიდ ნაკადს უეჭველად წარმოადგენს ცხოვრების მოწყობა სილამაზის კანონის მიხედვით. ერთადერთობა, პიროვნულობა კი, მე ვფიქრობ, სილამაზის კანონის მთავარი ბირთვი თუ ღერძია, ხოლო პიროვნულობის გაუქმების ან თუნდაც შესუსტების შემთხვევაში გამორიცხულია ადამიანის სრულფასოვნება. სრულფასოვნების რწმენა კი ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობისა და აქტიურობის აუცილებელი პირობაა.

კაცობრიობის ევოლუციის მთელ მანძილზე ადამიანთა შემოქმედებითი აქტიურობა ისე არ სჭირდებია საზოგადოებრივ განვითარებას, როგორც სჭირდება ჩვენს ეპოქას — საბოლოო ჯამში აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში გარდამავალ ეპოქას. ამ სიღრმისეულ ისტორიულ ტენდენციასთან არის უეჭველად დაკავშირებული პიროვნულობის გაღრმავება-გაძლიერების მიდრეკილებაც. ეს მიდრეკილება შესამჩნევად თავს იჩენს ჩვენი დროის ადამიანთა ფსიქოლოგიაშიც. დღევანდელ საზოგადოებრივ პროცესებზე ჩაღრმავებული დაკვირვება ნათლად გვიჩვენებს სუბიექტური ელემენტის საგრძნობ გააქტიურებას, მოძრაობის პიროვნული ძალების გაზრდა-გამძაფრებას. პიროვნული აქტიურობის ზრდასთან ერთად, ბუნებრივია, იზრდება პიროვნული პასუხისმგებლობის როლიც და მნიშვნელობაც. ადამიანი — მოქალაქე დღითი დღე უფრო მეტად პასუხისმგებელი ხდება ყოველივე იმისათვის, რაც მის ახლომახლო ხდება. ეს ფრიად სასიკეთო და პროგრესული მოვლენაა. ეს აძლიერებს და აღრმავებს ადამიანის, როგორც პიროვნების, როლსა და მნიშვნელობას. პიროვნება დიდი თანამედროვე სოციალური ორგანიზმის შუაგული ანუ არსებითი ბირთვია. სრულფასოვანი საზოგადოებრივი კოლექტივი მხოლოდ აქტიურ და სრულფასოვან პიროვნებათაგან იქმნება. ნიჭმომადლებულ პიროვნებას ძალუძს დააჩქაროს მოვლენათა განვითარება. რა თქმა უნდა, იგი არ შეიძლება არ ეყრდნობოდეს ადამიანთა შესაფერ კოლექტივს...

უდავოა, დღეს ყველგან და ყველაფერში დიდად იზრდება ისტორიული მოძრაობის სუბიექტური ელემენტის ანუ პიროვნების როლი. ეპოქა მოითხოვს ადამიანის სულ უფრო მეტსა და მეტ გაბედულებას აზრში, აზროვნებაში, ძიებებში, ცდებში და, თუ გნებავთ, ფანტაზიაშიც კი. მაგრამ ისე, როგორც ცხოვრებისა და განვითარების ყველა სფეროში, ამ სფეროშიც ყოველთვის ძალაში რჩება ზომისა თუ ზომიერების კანონი. ზომიერების საზღვრების გადაცდენას ამ დარგშიც, ანუ პიროვნების განვითარებისა და დამკვიდრების დარგშიც, შეიძლება მოჰყვეს არასასურველი შედეგი თუ ნახტომი; შეიძლება მოჰყვეს პიროვნების დაშლა, დარღვევა. ზომა არის თვისობრივი გარდაქმნის აუცილებელი მიჯნა. შეიძლება მიჯნის გადალახვა გააზრებულად, მიზანშეწონილად, რასაც უმეტეს შემთხვევაში სასარგებლო, კეთილი ანუ პოზიტიური შედეგი მოჰყვება, ზომიერების მიჯნის სტიქიურ, გაუაზრებელ გადალახვას კი მეტწილად სავალალო შედეგი მოაქვს (ორთავე შემთხვევის კონკრეტული მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანდა). ერთი სიტყვით, პიროვნულ ღირსებათა განვითარება-განმტკიცების პროცესი დიდი და ღრმა სოციალური პროგრესის, თუ გნებავთ, ბიოლოგიურ-ეკოლოგიური განვითარების მანიშნებელია. პიროვნულობა მთელი სასიცოცხლო პროცესის არსებითი ნიშანია. მისი ძლიერი შორეული სათავე, ჩემი აზრით, ცოცხალი სამყაროს დასაწყისშია. სიცოცხლის ჩანასახშივე არის რაღაცნაირი შეგრძნებისმაგვარი რამ; მარად ჩაუქრობელ ჭეშმარიტებად იკაშკაშებს ლენინის დებულება, რომ სამყაროს საფუძველშივე არის რაღაც შეგრძნების მაგვარი.

პიროვნებაც, როგორც ასეთი, საკუთარი არსების თვითშეცნობიერებაა. განვითარების რამდენ მილიარდ წელს უნდა გაევლო, რომ შეგრძნების მაგვარი რამ ცოცხალი ორგანიზმის თვითშეგრძნებად და შემდეგ კი თვითშემეცნებად ქცეულიყო. პიროვნებაც ხომ თვითშემეცნებიდან იწყება.

ცოცხალი ბუნების განვითარების ყველაზე დიდ მოვლენად ალბათ პიროვნულობისა და პიროვნების წარმოშობა უნდა იქნეს მიჩნეული.

ამ საკითხზე სიტყვა იმიტომ ჩამოვაგდეთ, რომ მიგვაჩნია: დღეს რატომღაც განსაკუთრებით საჭიროა საერთოდ პიროვნებისა და პიროვნულობის დაცვა, განმტკიცება არა მარტო ადამიანთა საზოგადოებაში, არამედ მთელ ბუნებაში, შრომაში, მშენებლობაში, ცხოვრების ყველა სფეროში. დღევანდელობა განსაკუთრებული დაბეჯითებით მოითხოვს დავიცვათ პიროვნულობა, გავუფრთხილდეთ პიროვნულობას!

გავიხსენოთ, ამ მხრივ ერთი ფრიად საგულისხმო მაგალითი — თბილისის ზოგიერთი ძველი უბნის და ძველი შენობის შეკეთება-განახლების ფაქტი. ამ ფაქტში ჩვენი დროის საკმაოდ მნიშვნელოვანი და არსებითი ტენდენცია მჟღავნდება, საბოლოო ანგარიშში შემოქმედებითი ინდივიდუალიზაციისა თუ აქტიური პიროვნულობის დაცვა-გამჟღავნების ტენდენცია. ხანგადასულ ნაგებობათა აღდგენა-განახლება არსებითად მოასწავებს მხატვრულ-არქიტექტურულად განსხვავებული პიროვნულობის დადგენის შემოქმედებით ცდას. ეს ცდა, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია მრავალმხრივ, უწინარეს ყოვლისა კი, სანახაობრივ-ესთეტიკური თვალსაზრისითაც. ამ ცდის ყველაზე ბასრი მახვილი, ჩემი გაგებით, მიმართულია ნირწამხდელი სტანდარტიზაციისა და გაერთფეროვნების წინააღმდეგ.

მე ვფიქრობ, ჩვენს დროში შემთხვევითი მოვლენა არ არის ხარისხის ნიშნის აღბეჭდვის მოთხოვნა, რაც საბოლოო ანგარიშით პირადი პასუხისმგებლობის მოთხოვნას მოასწავებს. პირადი პასუხისმგებლობის ზრდა კი არსებითად პიროვნულობის მნიშვნელობის გაძლიერებას მოასწავებს, რაც ჩვენი დროის სიღრმისეულ მოვლენას წარმოადგენს.

შემოქმედებითი ინდივიდუალიზაცია ჩვენი დროის განსაკუთრებით დაჟინებული მოთხოვნაა. ზოგჯერ კი საოცრად ვეურჩებით ამ მოთხოვნას. შორს ნუ წავალთ. სადმე დავესწროთ ამა თუ იმ თავყრილობას და ყური დავუგდოთ ზოგიერთი ორატორის საოცრად ერთფეროვან, ერთ ფარგალში გამოყვანილ სიტყვებს. ზოგჯერ გინდათ ვინმე-ვინმეებს ურჩიოთ: — დეე, ნუ იტყვით ერთობ ბრძნულს თუნდაც ერთობ ჭკვიანურს, თქვით ოღონდ საკუთარი გულიდან ამოსული, საკუთარ გონებაში დაბადებული, არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ საერთო-სახალხო ინტერესებს, საერთო-საზოგადო საქმეს სწორედ გამოკვეთილი პიროვნება, სრულფასოვანი ბუნების ადამიანი მოუვლის და გარკვეული გეზით წარმართავს. ამას გვიდასტურებს კაცობრიობის მთელი ისტორიული გამოცდილება. რასაკვირველია, ისტორიულ პიროვნებათა როლი სხვადასხვაგვარი და სხვადასხვა მიზანდასახულებისაა იმის მიხედვით, თუ საზოგადოების რომელი წრის, რომელი ფენის ინტერესებს გამოხატავდნენ ისინი.

რამდენი წახნაგიც უნდა ჰქონდეს პიროვნების პრობლემას დღეს, მთავარი მაინც პიროვნების სრულფასოვნებისათვის ზრუნვაა. ეს ჩვენი სოციალისტური საზოგადოების შინაგანი მოთხოვნილებაა.

საბჭოთა ქვეყნის სინამდვილეში მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობის იდეური ერთიანობა თუ ერთსულოვნება სრულიადაც არ გამორიცხავს მათი სულიერი ინტერესებისა და მათი ემოციური მიდრეკილებების მკვეთრ სხვადასხვაობასა და მრავალფეროვნებას.

პიროვნების შინაგანი სიუხვე, მისი სულიერი სიმდიდრე უმეტეს შემთხვევაში მოასწავებს მისი საზოგადოებრივი თვალსაწიერის გაფართოებასაც.

ადამიანი ჟღერს ამაყად, მაგრამ ადამიანი-პიროვნება და არა სტანდარტული ყალიბის სულიერი არსება. ცხოვრებაში, მეურნეობაში, მშენებლობაში, კულტურის ბევრ დარგშიც კი სტანდარტიზაციის აუცილებელი და ზოგჯერ არა აუცილებელი მოძალების პირობებში ჩვენს წინაშე დგება გადაუდებელი საარსებო ამოცანა ადამიანის დახსნისა სტანდარტიზაციის ავი ბრჭყალებისაგან.

პრობლემის კეთილნაყოფიერად გადაწყვეტის ყველაზე ნოყიერი ნიადაგი და საფუძველი არსებობს საბჭოთა სინამდვილეში და თამამად უნდა ვთქვათ, განსაკუთრებით ჩვენ დღევანდელ საქართველოში.

პიროვნულობა ადამიანთა უდიდესი მონაპოვარია.

ადამიანთა პიროვნულობის დაცვის პრობლემა, რომელიღაც კუთხით უეჭველად უკავშირდება ბუნების დაცვის ამოცანას. ისე როგორც ბუნების დაცვისა და მოვლის დარგში აუცილებელია გონივრული ზომიერება, ადამიანთა პიროვნულობის განვითარების დიალექტიკაც მოითხოვს ზომიერების კანონის დაცვას.

არსებითად პიროვნულობის ბრძნულ პოეტურ აპოლოგიას წარმოადგენს ვაჟას დიდი და გასაოცარი პოეზია. ვაჟამ მთელი ბუნება, მთელი სამყარო პიროვნებებად დაჰყო და პიროვნებებად აქცია. მაგრამ ეს იყო არა მხოლოდ პოეტური პერსონიფიკაცია, არამედ სიცოცხლის სათავის თავისებური წვდომაც. სწორედ ამ კუთხიდან ჩაერთვის უფრო აქტიურად დიდი პოეტი პიროვნებისა და პიროვნულობის სადღეისო პრობლემის გაშუქებასა და გადაწყვეტაში. ამასვე უკავშირდება ვაჟას შემოქმედებაში ბუნების დაცვისა და მოვლის მოტივი.

ვაჟას შემოქმედების ღრმა ქვეტექსტში უეჭველად იკითხება სიბრძნე და სიმშვენიერე პიროვნული სრულყოფილებისა. პოეტმა გენიალური ალღოთი განჭვრიტა ადამიანის პიროვნებისა და ბუნების სიცოცხლის დაუცველობის მოსალოდნელი შედეგი — გატიალება ყოვლისა.

პიროვნებისა და ბუნების გონივრული დაცვითა და გაუხვებით წარიმართება ცხოვრება სისავსისა, სიკეთისა და სილამაზისკენ.

სხვადასხვაობა და თავისებურება პიროვნულობის საზომია.

ადამიანის პიროვნება სრულფასოვანი მხოლოდ თავისთავადობით შეიძლება იყოს. გზა ბედნიერებისაკენ დახშულია იქ, სადაც წაშლილია ჭეშმარიტი პიროვნულობა.

სისათუთე და სიფაქიზე გვმართებს პიროვნებათა მიმართ!

ლავროსი კალანდაძე.

ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო

ქართველ მსახიობთა წარმატება ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე მექსიკაში

გუანახუატო (მექსიკა), 13 მაისი. (საქინფორმის კორ.). მექსიკის ამ უძველეს ქალაქში, რომელიც კარგად არის ცნობილი თავისი ოდინდელი კულტურული ტრადიციებით, დასასრულს უახლოვდება ხელოვნების X საერთაშორისო ფესტივალი „სერვანტინო". ამ ფესტივალში მონაწილეობს მსოფლიოს 30 ქვეყნის 3 ათასზე მეტი მსახიობი — სიმფონიური ორკესტრები, თეატრალური კოლექტივები, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები, მომღერლები, მოცეკვავეები, მუსიკოსები.

დრამის ხელოვნებას აქ წარმომადგენლობენ სსრ კავშირის, პოლონეთის, კუბის, იტალიის, ესპანეთის, საბერძნეთის, ინგლისის, არგენტინის, ბრაზილიის, მექსიკის თეატრალური კოლექტივები. ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა შექსპირის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „რიჩარდ III", რომელიც საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივმა წარმოადგინა.

ქართველ მსახიობებს დაუთმეს ფესტივალის მთავარი სცენა — ხუარესის სახელობის თეატრში. თუმცა სპექტაკლი ქართულ ენაზე მიდიოდა, მაყურებლები უდიდესი გულისყურითა და ინტერესით ადევნებდნენ თვალს მოქმედების განვითარებას. თეატრალურმა კრიტიკოსებმა, ხელოვნებათმცოდნეებმა, ჟურნალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს გამოჩენილი ინგლისელი დრამატურგის ნაწარმოების ღრმა განმარტებას, თეატრის მთავარმა რეჟისორმა რობერტ სტურუამ რომ მოგვცა. მექსიკის კრიტიკა აღნიშნავს მაღალ პროფესიონალიზმს, პლასტიკურობას, დახვეწილ არტისტიზმს საბჭოთა მსახიობების თამაშში.

„რიჩარდ III-ის" დადგმაში ქართული თეატრი გაოცებს უდიდესი ხატოვნებით, შექმნილი პერსონაჟების რეალისტურობით და ამავე დროს სიმბოლურობით, წერს სპექტაკლის რეცენზიაში მექსიკის ერთ-ერთი უდიდესი გაზეთი „დია". გავლენიანმა გაზეთმა „ექსელსიორმა" ქართული კოლექტივის დადგმას უწოდა ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო იმ სპექტაკლთაგან, რომლებიც ოდესმე შესრულებულა ხუარესის სახელობის თეატრის სცენაზე.

— მექსიკაში ჩვენ პირველად არ ჩამოვსულვართ. აქამდე ბედნიერება გვქონდა მონაწილეობა მიგვეღო „სერვანტინოს" ფესტივალში 1977 წელს, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში თეატრის მთავარმა რეჟისორმა და დირექტორმა რობერტ სტურუამ. — ახლანდელმა გამოსვლამ მექსიკის მომთხოვნი აუდიტორიის წინაშე, რომელიც კარგად ერკვევა დრამის ხელოვნებაში, დიდ საგონებელში ჩაგვაგდო, იმედი გვქვს, რომ მექსიკელმა მაყურებლებმა, ენით შექმნილი ბარიერის მიუხედავად, გაიგეს ჩვენი პიესა, და დაინახავენ მასში იმას, რის გამოხატვაც გვინდოდა.

გუანახუატოს ფესტივალზე გამოსვლების შემდეგ საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი ათზე მეტ სპექტაკლს გამართავს მექსიკის დედაქალაქში.

ი. გოლუბევი.

ბათუმის შუქურის ნათელი

რას გრძნობს მეზღვაური, რომელიც თავის გემზე წყვდიად ღამეში შორეული შუქურის აციაფებას ელოდება? ალბათ ეს სევდაა ცხრა მთის იქით დაშორებული სახლის გამო და როცა შორს სასურველ შუქს დაინახავს, თითქოს უკვე შეხვდი ახლობლებს...

ზუსტად ასი წელია სინათლის სიგნალებს გზავნის ზღვაში ბათუმის შუქურა. ბათუმის ნაპირებთან სათევზაოდ გასულ იალქნიან გემებსა და მებადურთა სანდლებს იგი ნავთის ფარნით უნათებდა, ხოლო პირველ გემებს ელექტრონული ნათურით. ახლა ძველი კოშკის წვერზე მძლავრი ოპტიკური დანადგარია, რომელიც შუქის ნაკადს 14 საზღვაო მილის მანძილზე გზავნის. რადიოშუქურის მოსახმობი სიგნალები კი ბათუმის ნავსადგურიდან 150 მილზე დაშორებულ გემების რადიოსადგურებს ესმით!

ზღვის ერთგული ადამიანები მსახურობენ ძველ თეთრ კოშკში. სულ ცოტა 35 წელია ყოველდღე ხრახნილი კიბით ადის შუქურაში ტექნიკოსი ივანე ჩმირი, ოცი წელია მსახურობს შუქურის უფროსი ვასილ ვალიაევი, ერთგულად მუშაობენ მიხეილ ჩმირი, არსენ მელიქჯანიანი, გიორგი ნიკიტიუკი, ბორის ქუჩენკოვი.

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!" — ეუბნება იგი ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულ მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოს გემებს.

ა. ვიგნანსკი.

სურათზე: ასი წელია მეზღვაურებს ემსახურება ბათუმის შუქურა;
ნ. ანასტასიევის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ამიერკავკასიის წიგნის კვირეული

ბაქო. (საქინფორმის კორ). სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავს მიეძღვნა ამიერკავკასიის წიგნის კვირეული, რომელიც 13 მაისს გაიხსნა ბაქოში. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის გამომცემლობათა სიახლენი გვაცნობს წარმატებებს, ამ რესპუბლიკის შრომელებმა რომ მოიპოვეს სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში, გვიამბობს მათი ურღვევი მეგობრობის შესახებ.

ფართოდ არის წარმოდგენილი მოძმე ლიტერატურათა ორმხრივი თარგმანების გამოცემები. მარტო უკანასკნელ ხანს აზერბაიჯანულ ენაზე გამოვიდა ნ. დუმბაძის, მ. ჯავახიშვილის, ლ. ერაძის, ვ. პეტროსიანის, ვ. ბაბაიანისა და სხვა მწერლების ნაწარმოებები. მკითხველთა შორის დიდი წარმატება ხვდა წიგნს „ამ მკერდში ორი გული მაქვს", რომელშიც გამოქვეყნებულია აზერბაიჯანისადმი მიძღვნილი ქართველ ლიტერატორთა ნაწარმოებები.

● ●

საქართველოს შესახებ — სიყვარულით

ასტრახანი. (საქინფორმის კორ.). საქართველოს მრავალფეროვანი ცხოვრება, მისი ხალხის შემოქმედებითი, ალმშენებლობითი შრომა გააცნო ასტრახანელებს რესპუბლიკის გრაფიკოს მხატვართა ნაწარმოებების გამოფენამ. სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ექსპოზიცია გაშლილია ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის საგამოფენო დარბაზში.

მნახველთა ინტერესი გამოიწვია ლ. ზამბახიძის გრაფიკული ნახატების სერიამ „რუსთაველი", რომელიც გვაცნობს მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქს, ა. თევზაძის ნამუშევრებმა „სოფლის ახალგაზრდობა", გ. ღლონტის ნახატმა „ჩემი ქალაქი", განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრეს ნაწარმოებებმა, რომლებშიც წარმოჩენილია ისტორიისა და კულტურის ძეგლები, შავი ზღვისპირეთის პეიზაჟები და მთის მწვერვალები, რესპუბლიკის ახალმშენებლობანი, რომლებიც ორგანულად შერწყმულა მისი ქალაქებისა და სოფლების იერსახესთან.

გამოფენა დიდი პოპულარულია. ყოველდღიურად მას ასობით მნახველი ათვალიერებს.

● ●

„ნადირობა ფოტოაპარატით"

— ასე ჰქვია ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ალექსი არაბულის ნაშრომს, რომელშიც ავტორი დიდი სიყვარულით და საქმის ცოდნით აგვიწერს საქართველოს ბუნებას და მის წიაღში მობინადრე მრავალ ცხოველს.

ავტორს ფოტოაპარატით ასახული აქვს საქართველოს ფაუნის წარმომადგენელთა ადგილსამყოფელი, ცხოველთა ქცევის ამსახველი, ბუნებაში რეალურად მიმდინარე და ხშირად გაუმეორებელი მომენტები.

წიგნი დასტამბა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ", რედაქტორია ე. ტრიპოლსკაია.

ჭ ა ბ ა ნ ხ ი

იუგოსლავიის ქალაქ ბუგოინოში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. ხუთი ტურის შემდეგ 4 ქულით ლიდერობს კასპაროვი. მომდევნო ადგილებზე არიან პოლუგაევსკი — 3,5 ქულა, ლუბოევიჩი (იუგოსლავია), სპასკი, ლარსენი (დანია) — 3-3, ტ. პეტროსიანი — 2,5 (1 გადადებული პარტია), ივანოვიჩი (იუგოსლავია) და ნაიდორფი (არგენტინა) — 2-2 (თითო გადადებული პარტია), ჰიუბნერი (გფრ) და ანდერსონი (შვეცია) — 2-2, ტიმანი (ჰოლანდია) და კავალეკი (აშშ) — 1,5-1,5 (თითო გადადებული პარტია), გლიგორიჩი (იუგოსლავია) — 1,5, ივკოვი — 0,5 ქულა (1 გადადებული პარტია).

ჭადრაკის დაფებთან

მოსკოვის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის სამი ტურის შემდეგ ანიკაევს, ვაჰანიანს და ტალს 2-2 ქულა ჰქონდათ, აბრამოვიჩს (იუგოსლავია), გელერს და სეკელის (უნგრეთი) — 1,5-1,5, კნააკს (გდრ) — 1 (2 გადადებული პარტია) და ა. შ.

მინსკის ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე ხუთი ტურის შემდეგ ცეშკოვსკიმ 4,5 ქულა დააგროვა და ერთპიროვნულად ლიდერობს. ინკიოვს (ბულგარეთი) და კუპრეიჩიკს 3,5-3,5 ქულა აქვთ, იუსუპოვს — 3 (1), იუდასინს — 3, რივას პასტორს (ესპანეთი) — 2,5 (2), როდრიგესს (კუბა) — 2,5 (1).

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) მეექვსე ტურში პ. გაფრინდაშვილმა მოუგო მაჭარაშვილს, ეფიმოვმა — ლომაიას, ბაღათუროვმა — ვეფხვიშვილს, გ. გიორგაძემ — გოგეშვილს. დანარჩენი პარტიები გადაიდო. გადადებული პარტიების დამთავრებამ სიცხადე შეიტანა სატურნირო ცხრილში. გ. გიორგაძემ მოუგო ლომაიას და ვეფხვიშვილს, ხოლო ბაბახანოვთან შეხვედრა ყაიმით დასრულდა. ბაღათუროვმა მოუგო მაჭარაშვილსა და ლომაიას, ბაბახანოვმა — პ. გაფრინდაშვილს, ტყეშელაშვილმა — ჯედევანიშვილს, ჩიქოვანმა — ხეცურიანს, ზაიჩიკმა — გურიელს, ჩაჩიბაიამ — მაჭარაშვილს. ტყეშელაშვილი და გოგიჩაიშვილი ყაიმზე შეთანხმდნენ. რამდენიმე პარტია კვლავ დაუმთავრებელი დარჩა. ექვსი ტურის შემდეგ შეჯიბრებას ერთბაშად სამი ლიდერი ჰყავს: საერთაშორისო ოსტატი გენადი ზაიჩიკი, ოსტატობის კანდიდატი გია გიორგაძე და გია ბაღათუროვი. მათ 5-5 ქულა აქვთ.

სატურნირო ორბიტა

ველოსპორტი. მშვიდობის ველორბოლის მეოთხე ეტაპი (ჩეხოსლოვაკიის ქალაქები ვაგის დუბნიცა — ოსტრავა, 161 კმ) მოიგო ლუდვიგ ოლაფმა (გდრ). გამარჯვებულის შედეგია 4 საათი და 3 წუთი. მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს იტალიელებმა მარკო ვიტალიმ (4:03.04) და პარიზიო გამბრიაზიომ (4:03.07). საბჭოთა სპორტსმენი შაჰიტ ზაგრეტდინოვი მეოთხე იყო (4:03.10) ოთხი ეტაპის შემდეგ პირად ჩათვლაში ლიდერობს რიხო სუუნი (სსრ კავშირი). მეორეა ზაგრეტდინოვი.

შაში. ფოთში მიმდინარეობს მერვე საკავშირო ჩემპიონატი საერთაშორისო შაშში ქალთა შორის. ხუთი ტურის შემდეგ 4 ქულით ლიდერობს მინსკელი ი. პაშკევიჩი.

ხელბურთი. მინსკში გრძელდება ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ასპარეზობა, რომელშიც ქვეყნის ექვსი საუკეთესო კოლექტივი მონაწილეობს. შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე მოსკოველმა არმიელებმა ოქროს მედლები გაინაღდეს, ხოლო შათმა მინსკელმა თანაკლუბელებმა — ვერცხლის მედლები.

ძიუდო. როსტოკში (გდრ) დაიწყო ევროპის ჩემპიონატი. შეჯიბრების პირველ დღეს გათამაშდა მედლების ორი კომპლექტი. მძიმე წონაში პირველობა მოიპოვა ჰ. შტეერმა (გდრ), რომელმაც ფინალში დაამარცხა ოლიმპიური ჩემპიონი ა. პარიზი (საფრანგეთი). ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ ჩელიაბინსკელი გ. ვერიჩევი და ა. ოზვარი (უნგრეთი). 95 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში უძლიერესი იყო ნაკლებად ცნობილი ავსტრიელი ძიუდოისტი რ. კესტერბერგერი. მან ფინალში მოუგო გ. ნოირიოტერს (გფრ). ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ ლ. მოლნარს (უნგრეთი) და რ. ვაშონს (საფრანგეთი). მსოფლიოს ჩემპიონი თბილისელი თ. ხუბულური პრიზიორთა მიღმა დარჩა.

ქ რ ო ნ ი კ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ნ. ა. ქებაძე დანიშნა საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ — რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლდამზადების" თავმჯდომარედ.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას

ნება გვიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა მოვახსენოთ ყველა დაწესებულებას, ორგანიზაციასა და იმ პირთ, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი მწუხარება **კალე ბობოხიძის** გარდაცვალების გამო.

კალე ბობოხიძის ოჯახი.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ხაისტორიო საზოგადოება იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

კონსტანტინე გრიგოლის ძე გრიგოლია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

ორშაბათი, 17 მაისი

პირველი პროგრამა: 9.00 — „ვრემია" (მ.), 9.40 — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მირგოროდი", 10.00 — „მოამბე", 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნადეჟდა", 10.40 — მხატვრული ფილმი „წითელი კარავი". I და II სერია, 13.00 — ფიზიკის ტელეკურსი, 13.30 — ახალგაზრდობისათვის სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „ბამი, წელი პირველი", „იქ, სადაც ბამი გავა", 16.30 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის კონსტიტუცია, 17.00 — უმცროსკლასელთათვის — „ვიწყებთ ლაპარაკს რუსულად", 17.30 — განცხადებები, 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი „იყო ერთი ფუტკარი", 17.50 — „ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის მე-60 წლისთავისათვის" — „ის ურჩევნია მამულსა"..., 18.30 — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის" — „ვერნისაჟი" (რეპორტაჟი გამოფენიდან), 19.10 — საგაზაფხულო ფესტივალი — „ქართული მუსიკა. ქართველი შემსრულებლები" — „უკრავს ელისო ვირსალაძე", 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე", 20.30 — კინოპროგრამა, 21.05 — „საკავშირო კომკავშირის XIX ყრილობის შესახვედრად — „ახალგაზრდობა". სატელევიზიო პროგრამა, 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — საკავშირო კომკავშირის XIX ყრილობისადმი მიძღვნილი სპორტული ზეიმი. გადმოცემა ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლიდან.

მეორე პროგრამა: 17.10 — სტუდენტებისათვის — ფილოსოფია, 17.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვარჯიში", 18.05 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია, 18.35 — ახალგაზრდობისათვის მხატვრული ფილმი „ქვეყნის დასალიერზე", 20.05 — განცხადებები.

სამშაბათი, 18 მაისი

პირველი პროგრამა: 9.00 — „ვრემია" (მ.), 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სტუდენტთა კოშკი", 10.00 — „მოამბე", 10.30 — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის" — დოკუმენტური ფილმი „როცა სიტყვებს ვისმენ", 11.00 — „ახალგაზრდა შემოქმედთა სატელევიზიო კლუბი" — „თეატრი და ახალგაზრდობა", 12.15 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოკითხვის ბარათები", 12.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კომკავშირული დავალება", 13.00 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა, 13.30 — მხატვრული ფილმი „ქვეყნის დასალიერზე", 17.00 — შევისწავლოთ ინგლისური ენა, 17.30 — უფროსკლასელთათვის — „წიგნი ჩემი მეგობარია", 18.30 — საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში. საქართველოსა და პოლონეთის ნაკრები გუნდები. რეპორტაჟი ლენინური კომკავშირის სახელობის თბილისის საცურაო აუზიდან, 19.10 — „გავუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს", 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „საკავშირო კომკავშირის XIX ყრილობის დღიური" (მ.), 20.55 — „მოამბე", 21.25 — „პოეზია" — ოთარ ჭელიძე, 22.00 — „ვრემია" (მ.), 23.00 — კონცერტი საკავშირო კომკავშირის XIX ყრილობის დელეგატებისათვის. ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან.

მეორე პროგრამა: 17.05 — სტუდენტებისათვის — თეორიული მექანიკა, 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ბამი, წელი პირველი" და „იქ, სადაც ბამი გავა", 18.45 — განცხადებები, 18.50 — ახალგაზრდობისათვის — მხატვრული ფილმი „და თუ ეს სიყვარულია?".

ოთხშაბათი, 19 მაისი

პირველი პროგრამა: 9.00 — „ვრემია" (მ.), 10.05 — „მოამბე", 10.35 — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის" — ქართული დოკუმენტური ფილმი „საქართველოს კომკავშირი", 10.45 — მხატვრული ფილმი „და თუ ეს სიყვარულია?", 12.20 — ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი გადაცემა (მ.), 13.30 — მათემატიკის ტელეკურსი, 17.00 — შევისწავლოთ გერმანული ენა, 17.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გლერხეინი", 18.05 — ქართული მუსიკალური ფილმი „მოვდივართ და მოვიმღერით", 19.15 — „საკავშირო კომკავშირის XIX ყრილობის დღიური" (მ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე", 20.30 — მხატვრული ფილმი „შენი თანამედროვე". I სერია, 21.25 — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის" — „საქართველოს მარკით", 21.35 — ახალგაზრდობისათვის ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „არდადეგები", 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.45 — საგაზაფხულო ფესტივალი — „ქართული მუსიკა, ქართველი შემსრულებლები" — უკრავს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი, 23.25 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა: 17.05 — მოსწავლეთათვის — ქართული ლიტერატურა, 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რთული კილომეტრები", 18.10 — სტუდენტებისათვის — მასალათა გამძლეობა, 18.55 — „ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის მე-60 წლისთავისათვის" — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბრინჯაოს ფრინველი". I სერია, 20.00 — განცხადებები.

ხუთშაბათი, 20 მაისი

პირველი პროგრამა: 9.00 — „ვრემია" (მ.), 9.50 — კინონარკვევი, 10.00 — „მოამბე", 10.30 — მეხუთე კლასის მოსწავლეთათვის — მათემატიკა, 11.00 — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის" — მოძმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება" — მოლდავეთი, 11.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „იპოვე შენი ორბიტა", „ოცნების კუნძული", 13.00 — ბიოლოგიის ტელეკურსი, 13.30 — მხატვრული ფილმი „შენი თანამედროვე". I სერია, 17.00 — შევისწავლოთ ფრანგული ენა, 17.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩორბოგელი ქალიშვილები", 17.50 — „სოციშეჯიბრის მაგისტრალური მიმართულება", 18.40 — „ხალხური შემოქმედება" — „შრომის საგაზაფხულო პოეზია", 19.15 — „საკავშირო კომკავშირის XIX ყრილობის დღიური" (მ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე", 20.30 — მხატვრული ფილმი „შენი თანამედროვე". II სერია, 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.45 — საგაზაფხულო ფესტივალი „ქართული მუსიკა, ქართველი შემსრულებლები" — „შეხვედრა ლატავრა ფოჩიანთან", 23.40 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა: 17.05 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია, 17.50 — მულტიპლიკაციური ფილმი „კოლოეთი", 18.10 — სტუდენტებისათვის — მექანიზმებისა და მანქანების თეორია, 18.55 — ქართული დოკუმენტური ფილმი „საქართველოს კომკავშირი", 19.45 — ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის მე-60 წლისთავისათვის" — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბრინჯაოს ფრინველი". II სერია, 20.50 — განცხადებები.

პარასკევი, 21 მაისი

პირველი პროგრამა: 9.00 — „ვრემია" (მ.), 9.30 — კინონარკვევი, 10.00 — „მოამბე", 10.30 — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის" — დოკუმენტური ფილმი „დედა, მამა და ჩვენ 12", 11.05 — მხატვრული ფილმი „შენი თანამედროვე". II სერია, 12.30 — „ცირკის მოყვარულთათვის" — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ა. აკოპიანი, 13.00 — სტუდენტებისათვის — უმაღლესი მათემატიკა, 13.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შენი ორდენები, კომკავშირო", 17.00 — საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში საქართველოსა და შვეციის ნაკრები გუნდები. რეპორტაჟი თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საცურაო აუზიდან, 18.00 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის — „ცვლა", 18.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.45 — საგაზაფხულო ფესტივალი „ქართული მუსიკა, ქართველი შემსრულებლები" ს. ნასიძის III სიმებიანი კვარტეტი, 19.15 — „საკავშირო კომკავშირის XIX ყრილობის დღიური" (მ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე", 20.30 — ქართული ხალხური სიმღერები, 21.05 — აფხაზეთის ს. ჭანბას სახელობის დრამატული თეატრის სპექტაკლი „სანამ ურემი გადაბრუნდება". I მოქმედება, 22.00 — „ვრემია" — (მ.), 22.45 — აფხაზეთის ს. ჭანბას სახელობის დრამატული თეატრის სპექტაკლი „სანამ ურემი გადაბრუნდება". II მოქმედება, 23.55 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა: 17.05 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 17.35 — მულტფილმი — „ჯადოსნური ტომარა", 17.55 — მოსწავლეთათვის — ხაზვა, 18.40 — კინოჟურნალი „ვარსკვლავა" № 31, 19.45 — განცხადებები, 19.50 — „ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის მე-60 წლისთავისათვის". სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბრინჯაოს ფრინველი". III სერია.

შაბათი, 22 მაისი

პირველი პროგრამა: 9.00 — „ვრემია" (მ.), 9.50 — ბავშვებისათვის — იუმორისტული კინოჟურნალი „ერალაში" № 15, 10.00 — „მოამბე", 10.30 — შევისწავლოთ ქართული ენა, 11.00 — გადაცემა „კიდევაც დაიზრდებიან" (განმეორებით), 11.25 — „პოეზიის ხუთი წუთი", 11.30 — „კინოაფიშა", 12.00 — „ყრილობაზე ითქვა — რა გაკეთდა" — „სასურსათო პროგრამის კურსით", 12.50 — „პოეზიის ხუთი წუთი", 12.55 — მუსიკალური გადაცემა „ი. ჰაიდნი" (დაბადების 250 წლის თავის გამო), 13.55 — „პოეზიის ხუთი წუთი", 14.00 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის — სატელევიზიო ჟურნალი „სამშობლოს საზღვრების სადარაჯოზე", 14.45 — საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში სსრ კავშირისა და ესპანეთის ნაკრები გუნდები. რეპორტაჟი ლენინური კომკავშირის სახელობის თბილისის საცურაო აუზიდან, 15.20 — „ჯანმრთელობა" — სატელევიზიო პროგრამა, 15.55 — საგაზაფხულო ფესტივალი — „ქართული მუსიკა, ქართველი შემსრულებლები" — „უკრავს თბილისის კამერატა", 16.45 — „პოეზიის ხუთი წუთი", 16.50 — „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის" — „ერთიან ძმურ ოჯახში" (ახალგაზრდა მხატვარი დიზაინერები), 17.10 — „გლობუსი", 18.00 — „პოეზიის ხუთი წუთი", 18.05 — ახალგაზრდობისათვის — „ჩვენი ლამქარი" — გოდერძი ჩოხელი, 19.15 — „საკავშირო კომკავშირის XIX ყრილობის დღიური" (მ.), 19.45 — „პოეზიის ხუთი წუთი", 19.50 — კინონარკვევი, 20.00 — „მოამბე", 20.30 — ახალგაზრდობის ზეიმი ოსტანკინოს საკონცერტო სტუდიაში, 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ადგილის დედა". პრემიერა, 23.05 — „თეატრალური პანორამა".

კვირა, 23 მაისი

პირველი პროგრამა: 9.00 — „ვრემია" (მ.), 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ერთსა ყვავსა ყვანჩალასა", 10.00 — „მომბე", 10.30 — შევისწავლოთ რუსული ენა, 11.00 — სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები" (განმეორებით), 11.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფრინველები ბუდეში", 12.00 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 12.45 — „ცეროდენას ეკრანი", 13.10 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი (სტუდიაშია დოცენტი თ. კვაჭანტირაძე), 13.40 — „მულტპანორამა", 14.35 — „ხალხური შემოქმედება" — „ათი ხალხური სიმღერა", 15.45 — „ილუზიონი", 17.35 — „ვესტნიკი", 18.05 — „კინოფანტაზია", 18.30 — მოსწავლეთათვის — „მე კომკავშირელი ვარ", 19.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: თბილისის „დინამო" — ბაქოს „ნეფთჩი". რეპორტაჟი ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონიდან. შესვენების დროს „ზღაპრის გუდა", 20.45 — „მოამბე", 21.15 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: ერევნის „არარატი" — ქუთაისის „ტორპედო". II ტაიმის მატჩის ვიდეოჩანაწერი, 23.25 — „ჩვენი ანონსი", 23.45 — „საფეხბურთო მიმოხილვა" (მ).

რა მოვისმინოთ

საქართველოს რადიოს ერთი კვირის პროგრამა



ორშაბათი, 17 მაისი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები, 6.38 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები, 6.50 — „სოფლის დილა". „სასურსათო პროგრამა მოქმედებს". ინტერვიუ „დავაჩქაროთ თესვის ტემპი", 7.31 — დილის კონცერტი საკავშირო კომკავშირის XIX ყრილობის დელეგატებისათვის, 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.), 8.15 — „პიკის საათი". საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა, 11.15 — ახალგაზრდობისათვის — რადიონარკვევი „კომკავშირის ყრილობის დელეგატი", 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა, 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — ჯ. ჩარკვიანის ლექსები, 12.30 — ქართული ეკრანის მელოდიები, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — სიმღერები კომკავშირზე, 13.30 — მღერის ზ. ანჯაფარიძე, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა". „გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის თავისათვის". ს. ჭილაია. „ეკატერინე ჭავჭავაძე", 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის — რადიოდადგმა „კრაზანა". მეორე ნაწილი, 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება, 19.00 — „სამი ძმის სოფელი". რადიონარკვევი, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.40 — „ადამიანი და კანონი". რადიოჟურნალი (მ.), 20.30 — „თეატრი მიკროფონთან". რუსთაველის სახელმწიფო თეატრის. სპექტაკლი „საბრალდებო დასკვნა", 23.30 — სალამოს მელოდიები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

სამშაბათი, 18 მაისი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები, 6.50 — „სოფლის დილა". „სასურსათო პროგრამა მოქმედებს". კორესპონდენტის ნაამბობი „ოშრაალონ კაკლის ხეებმა", 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.), 8.37 — მელოდიიდან მელოდიამდე, 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 9.45 — დ. ჩხეიძე. საფორტეპიანო კონცერტი, 11.10 — „გულახდილი დიალოგი სტუდიაში". საუბარი: „პროფესიული ორიენტაციის ეთიკური ფუნქციები", 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა, 12.15 — სიმღერები ახალგაზრდობაზე, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — შ. ნიშნიანიძის ლექსები, 12.30 — მღერის ე. ჭელიძე, 12.40 — „ყველა მერიდიანზე — ფაქტები, მოვლენები, კომენტარი", 13.30 — ქალაქური ჰანგები, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა". „გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის თავისათვის". ს. ჭილაია, „ეკატერინე ჭავჭავაძე", 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ფანტაზიები საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერების თემაზე, 17.35 — მოსწავლეთათვის — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება, 19.00 — „ჩემი კომკავშირი". ქართველი პოეტების ლექსები, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.40 — „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის პასუხად", 21.00 — კონცერტი საკავშირო კომკავშირის XIX ყრილობის დელეგატებისათვის. ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან (მ.), 23.30 — ვალსები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ოთხშაბათი, 19 მაისი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები, 6.50 — „სოფლის დილა". „სასურსათო პროგრამა მოქმედებს". საუბარი „დამშრობილ მიწებზე მხოლოდ უხვი მოსავალი", 7.31 — დილის კონცერტი, 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.), 8.37 — მელოდიიდან მელოდიამდე, 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 11.15 — „პარტიული ცხოვრება". საუბარი „შინაპარტიული დემოკრატია წარმატების საწინდარია", 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა, 12.20 — ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი გადაცემა (მ.), 14.00 — „ლიტერატურული კითხვა". „გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის თავისათვის". ს. ჭილაია. „ეკატერინე ჭავჭავაძე", 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ეკრანის მელოდიები, 17.40 — მოსწავლეთათვის. „დაუვიწყარი წლები" — რადიოკომპოზიცია „მიიღე, მამულო, ჩვენი პატაკი", 18.00 — თბილისის ახალი ამბები, 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება, 19.00 — „პრობლემები, რომლებიც გადაჭრას მოითხოვს". კორესპონდენტის ნაამბობი, 19.15 — ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორების სიმღერები, 19.40 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი (მ.), 20.30 — „თბილისი-ბაქო-ერევანი". რადიოჟურნალი (თბილისიდან), 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — ახალგაზრდობისათვის — რადიონარკვევი „კომკავშირის ყრილობის დელეგატი", 21.30 — ქალაქური ჰანგები, 22.00 — ი. იაკოვლევი, „მსახიობი ქალი, რომელიც ბიჭის როლს ასრულებს". რადიოდადგმა, 23.30 — უკრავს ე. ვირსალაძე, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ხუთშაბათი, 20 მაისი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები, 6.50 — „სოფლის დილა". „ჩვენი სარედაქციო ფოსტიდან", 7.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.), 8.37 — მელოდიიდან მელოდიამდე, 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 9.45 — მღერის თ. გვერდწითელი, 11.15 — „აგროსამრეწველო კომპლექსი მოქმედებს". საუბარი „პირველი ნაბიჯები", 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა, 12.15 — პოპულარული კამერულ-ინსტრუმენტული პიესები, 12.25 — „სცენის ოსტატები". სპექტაკლიდან „ფიროსმანის" სცენა ა. თოიძის, ე. საყვარელიძის, ს. ზაქარიაძის, ე. აფხაიძის მონაწილეობით, 12.45 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.50 — მღერის ანსამბლი „ივერია", 13.30 — ი. ბობოხიძე. სიმღერები, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა". „გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის თავისათვის". ს. ჭილაია. „ეკატერინე ჭავჭავაძე", 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.35 — მოსწავლეთათვის — გ. ჩოხელი. საბავშვო მოთხრობები „ჭრელა" და „ნატბევის ჭალა", 18.00 — სამხრეთ ოსეთის ახალი ამბები, 19.00 — „ჩვენი ლამქარი". რადიონარკვევი „მშობლის გამოგნე შვილის ამბავი", 19.20 — ს. ცინცაძე. ბალეტ „დემონის" ნაწყვეტები, 19.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.30 — „დავით აღმაშენებლის პოეზია". რადიოკომპოზიცია, 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — „მესამე ზარის შემდეგ". მუსიკალური მიმოხილვა, 23.30 — სალამოს მელოდიები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

პარასკევი, 21 მაისი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები, 6.50 — „სოფლის დილა". საუბარი: „სამეურნეო ამოცანების იდეოლოგიური უზრუნველყოფა", 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.), 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 9.45 — გ. კილაძე. ბალეტ „სინათლეს" სიუიტა, 11.10 — „გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის თავისათვის". გ. ქიქოძე, „ერეკლე მეორე", 11.30 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა, 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.30 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.35 — მუსიკალური პროგრამა „შეხვედრები მიკროფონთან", 13.30 — ნ. გუდიაშვილი. კამერული ნაწარმოებები, 13.50 — მოსწავლეთათვის — გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — „ახალგაზრდების შემოქმედება". ე. დურგლიშვილი, სიმღერები, 17.40 — მოსწავლეთათვის — „ახალგაზრდობა, იმედო ხვალის". ქართველი მწერლების ნაწარმოებები, 18.00 — „პიკის საათი". საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა, 19.00 — „სასურსათო პროგრამა მოქმედებს". საუბარი „თევზის მრეწველობის პერსპექტივები", 19.40 — მ. რაველი. ბოლერო, 20.30 — „მეცნიერება და ტექნიკა". რადიოჟურნალი, 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — ძველებური მუსიკის კონცერტი, 22.00 — სპექტაკლ „თავისუფალი თემის" სცენა, 23.30 — ანსამბლ „ვორდელას" კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

შაბათი, 22 მაისი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები, 6.50 — „სოფლის დილა". რადიონარკვევი „როცა ოჯახი მღერის", 7.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.), 8.37 — მელოდიიდან მელოდიამდე, 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 9.45 — მღერის თ. გურგენიძე, 11.10 — „ლექსო, ნუ დაიკარგები", 11.50 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 12.00 — „სსრკ-60". „მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში". ნარკვევი „კიევი უძველესი ქალაქია". 13.30 — ქართული ხალხური სიმღერები, 14.00 — რ. ინანიშვილი, „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება". რადიოდადგმა, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის — კონცერტ-საუბარი „მეგრიან თქვენი ბულგარელი თანატოლები", 18.00 — „მსოფლიოს ერთი კვირის ამბები", 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება, 19.00 — „გეწვიენ ვეტერანები" (მ.), 20.30 — „მოლტი". რადიოჟურნალი, 21.00 — „ძილისპირული", 21.10 — რუსული ენის შემსწავლელთა დასახმარებლად", 21.30 — ახალგაზრდობისათვის — „კომუნისტები". რადიონარკვევი „მე მთებს ახსოვთ", 21.45 — „სალამო მშვიდობისა!". მუსიკალური პროგრამა ახალგაზრდობისათვის, 23.30 — ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

კვირა, 23 მაისი

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები, 6.38 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები, 7.30 — „საერთაშორისო დღიური" (მ.), 7.40 — დილის კონცერტი, 8.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.), 8.20 — „მიწა და ადამიანები" (მ.), 9.15 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 9.22 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 9.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი". საკვირაო გამოშვება, 11.15 — „პიონერთა დაფიონი" (მ.), 11.35 — „მუსიკალური რადიოაფიშა", 12.15 — „პოეტი მიკროფონთან" — ა. ბეგაშვილი, 12.30 — მუსიკალური მოზაიკა, 13.30 — ახალგაზრდობისათვის. „მუსიკის საათი", 14.30 — „ფიზკულტურა და სპორტი". რადიოჟურნალი 15.00 — „მეგობრობის კონცერტი" (თბილისიდან), 15.30 — „ჩვენი იმედი და მომავალი". საუბარი „აკვანი უნდა ირწეოდეს", 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის. „მოგზაურობა ცოდნის სამყაროში" — ი. ჭავჭავაძე, 19.05 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 20.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო" — ბაქოს „ნეფთჩი", მეორე ტაიმი, 20.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 21.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: ერევნის „არარატი" — ქუთაისის „ტორპედო". მეორე ტაიმი, 21.45 — სპექტაკლ „მარინეს" სცენა, 22.00 — პროგრამა „სტუდენტური დისკოთეკა", 23.30 — ო. რესპიგი. სიმფონიური პოემა „რომაული დღესასწაული", 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

შაბათი, 15 მაისი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია", 9.40 — სევასტოპოლის ბავშვთა ანსამბლის „ალისფერი იალქნების" გამოსვლა, 10.10 — თქვენთვის, მშობლებო!, 10.40 — დოკუმენტური ტელეფილმი „სამი+მილიონი", 11.10 — პოეტი ანტალ გიდაში, 11.55 — „სპორტლოტო", 12.00 — მღერის ა. ვოროშილო, 12.45 — უსაფრთხო მოძრაობა, 13.15 — მოსკოველი ქალი. ტელეკლუბი, 14.45 — ეს თქვენ შეგიძლიათ, 15.30 — ახალი ამბები, 15.45 — ფილმი — ბავშვებს. „აეროპლანები" (ბულგარეთი), 16.20 — ცხოველთა სამყაროში, 17.20 — პოლიტიკური მიმომხილველის ვ. პ. ბეკეტოვის საუბარი, 17.50 — სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის. ვორონეჟის რუსული ხალხური გუნდის კონცერტი, 18.35 — დოკუმენტური ტელეფილმი „ამერიკა: ათი წლის შემდეგ", 19.40 — ხელოვნებათა ფესტივალი „მოსკოვური ვარსკვლავები". პ. ი. ჩაიკოვსკის ბალეტი „გედის ტბა", 22.00 — „ვრემია", 22.35 — მსოფლიოს ჩემპიონატი კრივში. ნახევარფინალი, 23.50 — საზღვარგარეთის ესტრადის მელოდიები და რიტმები, 00.40 — ახალი ამბები.

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.), 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შემოქმედი ადამიანი", 10.00 „მოამბე", 10.30 — შევისწავლოთ ქართული ენა, 11.00 — „პოეზიის ხუთი წუთი", 11.05 — კინონარკვევი, 11.15 — „დილის ფოსტა" — მუსიკალური პროგრამა (მ.), 11.45 — „კინოაფიშა", 12.20 — „საბჭოური ცხოვრების წესი" — „ადამიანი და პროფესია", 12.40 — „პოეზიის ხუთი წუთი", 12.45 — „ხალხური შემოქმედება" — გვაქვს უთვალავი ფერითა", 13.30 — ციკლიდან „კომუნისტები" — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი, „ინჟინრები", 14.00 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 14.45 — „პოეზიის ხუთი წუთი", 14.50 — მულტფილმები, 15.10 — „თბილისი და თბილისელები" — სატელევიზიო ჟურნალი, 15.50 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „ორი წელი და მთელი სიცოცხლე", 17.00 — „პოეზიის ხუთი წუთი", 17.05 — ახალგაზრდობისათვის — „გიწვევთ საკონცერტო დარბაზში" — ანსამბლ „75"-ის კონცერტი, 18.05 — „ყრილობაზე ითქვა, რა გაკეთდა" — გადაცემა „ფართო გზა ახალს, პროგრესულს", 18.55 — „იაპონური პოეზია", 19.30 — საგაზაფხულო მუსიკალური ფესტივალი „ქართული მუსიკა, ქართველი შემსრულებლები" — უკრავენ მ. ხაინდრავა და თ. ციციშვილი, 20.00 — „მოამბე", 20.30 — „სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავისათვის" — აქ ვართ თითქოს ყველა ერთ დიდ ვენახში" — (ქართველ და ბალტიისპირელ მწერალთა შეხვედრა), 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — „საგაზაფხულო კინოფესტივალი" მხატვრული ფილმი „წითელი კარავი". მეორე სერია.

КОМУНИСТИ ИНДЕКС ეე 09224 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით., საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.